პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი, 26 აგვისტო 1935 წ. № 198 (4354)

დღეს ნომერში

- — თვითეულ მოსწავლეს მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელო (მეთაური).
- — ამხანაგ სტალინის მისალმება აშხაბად - მოსკოვის მარშრუტით ცხენებით გადარბენის კომანდორს.
- — პროფ. ლუი ლაპიკის წერილი ამხ. მოლოტოვს.
- — წითელ არმიას — ღირსეული ცვლა.
- — მეორე ინტერნაციონალი და ერთიანი ფრონტი.
- — ფიზიოლოგთა დელეგატები ტფილისში.
- — პროფ. მუსხელიშვილი—ახალი მათემატიკური ცენტრი ტფილისში.
- — საქართველოს საკოლმეურნეო ფერმები 1935 წლის პირველ ნახევრისათვის.
- — სავაჭრო ქსელის მუშაკთა ხელფასის [illegible].
- — ინგლისის პოზიცია იტალია-აბისინიის კონფლიქტში.

თვითეულ მოსწავლეს მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელო

პარტია და მთავრობა მთელი თანმიმდევრობით წლითიწლობით აძლიერებენ თავიანთ ზრუნვას, ყურადღებას და ხელმძღვანელობას ახალი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის მთელი საქმისადმი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება „დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლისათვის სახელმძღვანელოთა გამოცემის და გაყიდვის შესახებ" წარმოადგენს იმის მკაფიო დამამტკიცებელ საბუთს, თუ როგორ ხორციელდება ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, რომ **„ჩვენს მთავრობას და პარტიას არა აქვთ სხვა ინტერესები და საზრუნავი, გარდა იმისა, რაც ხალხს აქვს".**

თითქოს ყველასათვის ცნობილია, რომ მაღალხარისხოვანი სტაბილური სახელმძღვანელოები წარმოადგენენ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების უმნიშვნელოვანეს პირობას, მაგრამ ასეთი სახელმძღვანელოების შექმნა დღემდე ვერ მოახერხეს რესპუბლიკათა განსახკომებმა, მათ შორის საქართველოს განსახკომმაც.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ თავისი 1933 წლის 12 თებერვლის დადგენილებით ავალებდა რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის განსახკომს და მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს: „უზრუნველჰყონ საქმით ისეთი სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემა, რომლების გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მრავალი წლის განმავლობაში".

ამ გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაჰგმო „სკოლის კვდომის" „მომემარცხენო" თეორია; გადაჭრით დაჰგმო „მემარცხენეთა" გეზი გაბნეულ სახელმძღვანელოებისაკენ. აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკათა განსახკომებმა ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება ფორმალურად მიიღეს და რომ მავნე „მომემარცხენო" პრაქტიკა ბოლომდე არ ყოფილა აღმოფხვრილი. ორნახევარი წლის განმავლობაში, განსახკომის ნებართვით ხდებოდა სახელმძღვანელოთა სისტემატურად გადაკეთება და უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მთელი რიგი საგნების სტაბილური სახელმძღვანელოები.

თუ ქართული სკოლების ორიგინალურ სახელმძღვანელოებს ავიღებთ, აქაც ამ ორი წლის განმავლობაში გადაკეთებულ იქნა 12 სახელმძღვანელო, მათ შორის 2—3-ჯერ გადაკეთდა შემდეგი სახელმძღვანელოები: ბოტანიკის, ანბანის, გეოგრაფიის და სხვ.

ყოველივე ამან და სხვა ასეთმა უმსგავსოებამ აიძულეს სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ ჩაეწერათ და მიეთითებიათ განსახკომებისათვის, რომ მათ „დაუშვეს უაღრესად უხეში შეცდომები: მრავალი სახელმძღვანელოს ყოველწლიურად გადაკეთებით სისტემატურად ირღვეოდა ცენტრალური კომიტეტის დირექტივა სტაბილური სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ".

ამიერიდან რესპუბლიკათა განსახკომებს აეკრძალათ ცვლილებების შეტანა ხელმეორედ გამოსაცემ სტაბილურ სახელმძღვანელოებში საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებადაურთველად.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოიცა 150 მილიონზე მეტი სახელმძღვანელო, ხოლო ჩვენში—საქართველოში დაახლოვებით 4 მილიონი სახელმძღვანელო. მაგრამ ეს რაოდენობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა მთელს ჩვენს მოთხოვნილებას. ჩვენში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა 1933—34 სასწავლო წელს სამ მოწაფეზე, ხოლო ზოგიერთ საგანში 5 მოწაფეზე, მოდიოდა ერთი სახელმძღვანელო, რაც შეეხება გასულ სასწავლო წელს — 2—3 მოსწავლეზე მოდიოდა ერთი სახელმძღვანელო.

საჭირო შეიქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რათა ბოლო მოღებოდა ამ უმსგავსოებას სახელმძღვანელოების მხრივ. ამ დადგენილების თანახმად, 1936 წლის 1 იანვრამდე დამატებით უნდა გამოიცეს 52 მილიონი ცალი სტაბილური სახელმძღვანელო, მათ შორის საქართველოსათვის—1.800.000 ცალი.

მთელ ამ საქმეში ყველაზე სამარცხვინო მოვლენა სახელმძღვანელოების მხრივ მდგომარეობდა იმაში, რომ განსახკომებმა შემოიღეს სახელმძღვანელოთა გავრცელების ყოვლად შეუწყნარებელი პრაქტიკა: სასწავლო წლის დამლევს სახელმძღვანელოებს ჩამოართმევდნენ ხოლმე, სკოლებში შემოიღეს ამ სახელმძღვანელოთა აღრიცხვის და ანგარიშგების მთელი საბუღალტერო სისტემა, რომლის დროსაც მაინც ვერ აღწევდნენ თავს ბოროტმოქმედებებს, აგროვებდნენ ავანსებს და სხვ.

ამ პრაქტიკის თანახმად მოსწავლე მთელი ზაფხულის განმავლობაში უსახელმძღვანელოდ რჩებოდა, მას არ ჰქონდა საშუალება თავისუფალ დროს ჩაეხედნა წიგნში, გაემეორებინა გავლილი საგანი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აუქმებს მოსწავლეთა შორის სახელმძღვანელოთა დახურულად გავრცელების არსებულ წესს და ავალებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს ა. წ. 15 სექტემბრიდან შემოიღონ სახელმძღვანელოთა ღია ვაჭრობა მაღაზიების, კიოსკების, სახელმწიფო გამომცემლობათა მეშვეობით, ხოლო სოფელში—აგრეთვე კოოპერაციისა და სკოლების მეშვეობით.

მთელი ანგარიშსწორება მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩამორთმეულ სახელმძღვანელოთა გამო, აგრეთვე ავანსების გამო, უნდა დამთავრდეს 15 სექტემბრამდე. ამგვარად სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ბოლოს ისპობა სახელმძღვანელოთა გავრცელების დღემდე არსებული ეს უმსგავსო პრაქტიკაც და დადგენილია ისეთი წესი, რომლის დროსაც ყოველ მოწაფეს შეუძლია თავისუფლად და შეუზღუდავად უზრუნველჰყოს თავისი თავი სტაბილურ სახელმძღვანელოთა სრული კომპლექტით.

სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების მომენტიდან 15 დღეზე მეტმა განვლო, მაგრამ სახელმძღვანელოთა დამატებითი ტირაჟის დაბეჭდვის საქმე, პარტიის და მთავრობის დირექტივათა რეალიზაციის საქმე ჯერ კიდევ არ გამოსულა კაბინეტების წიაღიდან. სტამბებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ მტკიცე დავალებანი; არ ამოძრავებულან მოვაჭრე ორგანიზაციები, მომმარაგებელ ორგანიზაციებსაც არ მოუკიდნიათ ხელი საქმისათვის.

საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას დაყვანილი თვითეულ სტამბამდე სახელმძღვანელოთა დამატებითი ტირაჟის გამოცემის მტკიცე გეგმა, ხოლო სტამბებში დამუშავდეს კალენდარული გეგმა და კონკრეტული საწარმოო დავალება დაყვანილ იქნას თვითეულ მუშამდე და დაზგამდე. უნდა მივაღწიოთ სახელმძღვანელოთა ტექნიკურად მაღალხარისხოვან გაფორმებას—რომ არ იყოს არავითარი შეცდომა, სახელმძღვანელოები კარგად იყოს დასურათებული და სხვ.

პოლიგრაფმარაგგასაღება და ა.-კ. მარაგგასაღება, ბოლოს, უნდა ამოძრავდნენ და გადამწყვეტი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ შეუფერხებლად მიაწოდონ სტამბებს ქაღალდი და სხვა დამხმარე მასალები (წებო, მუყაო, მიტკალი, მავთული და სხვ.)

განსახკომმა უნდა მოაწყოს სახელმძღვანელოთა ბეჭდვის მიმდინარეობის ყოველდღიური შემოწმება და მთელი რიგი ღონისძიებებით უზრუნველჰყოს ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების მაღალი ხარისხი.

წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდონ ხელი და წესრიგში მოიყვანონ სავაჭრო ქსელი (მაღაზიები, კიოსკები) სასაწყობო მეურნეობა, მოაწყონ სახელმძღვანელოთა გაგზავნა და სხვ.

განსახკომმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს თავის საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს დაწვრილებითი ინსტრუქცია ჩამორთმეული სახელმძღვანელოებისა და შეგროვებული ავანსებისათვის მშობლებთან ანგარიშის გასწორების წესის შესახებ, აგრეთვე სახელმძღვანელოთა გავრცელების წესისა და კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ ფართო საზოგადოებრიობა იმისათვის, რომ აუცილებლად შესრულდეს სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი სახელმძღვანელოების შესახებ.

განსახკომი, სახელგამი, სტამბები და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ პარტიის და მთავრობის ეს საბრძოლო დავალება. განათლების ფრონტისადმი ხელმძღვანელობა ავიყვანოთ დასახული ამოცანების დონეზე და ვუჩვენოთ მუშაობის ბოლშევიკური ნიმუშები.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტში

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა 1935 წლის სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ჩატარდეს ახალგაზრდა მშრომელ ქალთა ყრილობები შემდეგ ნაციონალურ რესპუბლიკებში: უზბეკისტანსა, ტურქმენისტანსა, ტაჯიკისტანსა, აჭარისტანსა, ყაზახსტანსა, ყირგიზეთსა, ბაშკირეთსა, თათართა რესპუბლიკასა, ყალმიკიასა, დაღესტანსა და ჩრდილო კავკასიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარიის და ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ ოლქებში.

ყრილობებზე მოსმენილ იქნება კომკავშირის ნაციონალური რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების და მხარეთა კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მთავრობათა ხელმძღვანელების მოხსენებანი ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობის და გაუმჯობესების შესახებ.

საერთაშორისო ბაზრობის გახსნა იზმირში

იზმირი, 23 აგვისტო. გუშინ ზეიმით გაიხსნა საერთაშორისო ბაზრობა იზმირში. გახსნისთანავე მეურნეობის მინისტრმა ბაიარმა სუმერ-ბანკის გენერალური დირექტორის, იზმირის გუბერნატორის, ქალაქის თავის და ოსმალეთის საქმიანი და საზოგადოებრივი წრეების მრავალი წარმომადგენლის თანხლებით ინახულა საბჭოთა პავილიონი, სადაც დაწვრილებით გაეცნო ექსპონატებს. ახსნა - განმარტებას იძლეოდა სსრ კავშირის გენერალური კონსული იზმირში ამხ. ტერენტიევი (ატს).

ინგლისის პოზიცია იტალია-აბისინიის კონფლიქტში

საგანგაშო მდგომარეობა

პარიზი, 24 აგვისტო. როგორც „ეკო დე პარი" აღნიშნავს, ინგლისის სამხედრო ავიაციის უფროსს მარშალ ელინგტონს აცნობეს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება იტალია - აბისინიის კონფლიქტის საკითხზე და რომ „ხმელთაშუაზღვის ფლოტი მოყვანილია საგანგაშო მდგომარეობაში". (ატს).

იტალიის გაზეთი ინგლისის პოზიციის შესახებ

რომი, 24 აგვისტო. ძირითადად აქ იმ აზრის არიან, რომ ინგლისის პოზიცია უფრო და უფრო შეურიგებელი ხდება იტალიის მოთხოვნების მიმართ. „ტრიბუნა" ასე ახასიათებს მდგომარეობას: „ინგლისის მთავრობამ გასტენა თოფი, მაგრამ ჯერჯერობით კედელზე მიაყუდა. ვინაიდან ჯერ არ დამდგარა მისი გამოყენების დრო". (ატს).

გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკები „ნამდვილი ჯოჯოხეთია"

პარიზი, 24 აგვისტო. ომის ყოფილ მონაწილე ინგლისელთა ერთი ჯგუფის წევრები, რომლებიც ამასწინათ იყვნენ გერმანიაში, გამოვიდნენ აქ მოხსენებებით. ინგლისელებმა განაცხადეს, რომ გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნება არ მოგვეცეს დაგვეთვალიერებინა საკონცენტრაციო ბანაკები დახაუში და კიუბერში, რომლებიც ინგლისელების ცნობით, „ნამდვილ ჯოჯოხეთს" წარმოადგენენ. აგრეთვე უშედეგოდ დამთავრდა ტელმანის ნახვის ცდა. როდესაც ინგლისელები შეეცადნენ კაიზერისა და კლაუსის ნახვას, რომლებსაც სიკვდილი აქვთ მისჯილი, მათ უპასუხეს, რომ კაიზერი უკვე სიკვდილით დასჯილია. „ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ,— განაცხადეს ინგლისელებმა, — რომ, მიუხედავად ხელისუფლების დიდი ზეგავლენისა, ნაციონალ - სოციალისტების მოწინააღმდეგენი განაგრძობენ ენერგიულ ბრძოლას". (ატს).

სიძვირის ზრდა გერმანიაში

ბერლინი, 24 აგვისტო. სიძვირის დიდი ზრდა გერმანიაში, განსაკუთრებით საკვებ პროდუქტთა ფასების ზრდა, იწვევს მომხმარებელთა დიდ უკმაყოფილებას და აიძულებს ხელისუფლების წარმომადგენლებს უფრო და უფრო ხშირად გამოვიდნენ საჯარო დამამშვიდებელი სიტყვებით. (ატს).

პროტესტი კაიზერისა და კლაუსისათვის სიკვდილის მისჯის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 23 აგვისტო. დანიის გემების მეცეცხლურთა კავშირის ყრილობამ ერთხმად დაადგინა პროტესტი განაცხადოს კაიზერისა და კლაუსისათვის სიკვდილის მისჯის წინააღმდეგ, მოითხოვოს ტელმანის განთავისუფლება, ხელი შეუწყოს პროფკავშირთა აღდგენას გერმანიაში და პროტესტი განაცხადოს უცხოეთის სასპორტო ორგანიზაციების მონაწილეობის წინააღმდეგ ოლიმპიადაში, რომელიც გერმანიაში უნდა მოეწყოს. (ატს).

კატასტროფის ადგილზე

ბერლინი, 23 აგვისტო. 3 დღეა გრძელდება საშველი სამუშაოები იმ ადგილზე, სადაც მოხდა კატასტროფა მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობაზე; მუშაობამ დღევანდლამდე ვერ მოიტანა საგრძნობი შედეგები. არ არის იმედი, რომ მიწაში ჩამარხული 2 ათეული მუშა გადაარჩინონ. (ატს).

ლონდონი, 22 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კაბინეტმა თავის საგანგებო სხდომაზე დაწვრილებით განიხილა იტალია-აბისინიის კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები. ბრიტანეთის მთავრობას განზრახვა აქვს მჭიდროდ ითანამშრომლოს საფრანგეთის მთავრობასთან. ერთა ლიგის საბჭოს მოწვევამდე, 4 სექტემბრამდე, ორივე მთავრობა განაგრძობს იმის გამორკვევას იტალიის მთავრობასთან, თუ რამდენად შესაძლებელია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, აგრეთვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არ არის საფუძველი შეიცვალოს ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება ერთა ლიგისა და მისი წესდებისადმი.

ლონდონი, 23 აგვისტო. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთების გადმოცემით, ინგლისის სურვილმა შეინარჩუნოს მჭიდრო თანამშრომლობა საფრანგეთთან ძლიერი გავლენა მოახდინა ინგლისის კაბინეტის გადაწყვეტილებაზე იტალია-აბისინიის კონფლიქტის შესახებ. „მორნინგ პოსტის" სიტყვით, სხდომაზე იტალიის მიმართ უფრო მტკიცე პოზიციების სასარგებლოდ წამოაყენეს სერიოზული არგუმენტები. მაგრამ გადასწყდა არ შეიცვალონ პოლიტიკა, რათა არ მიაყენონ ზიანი ინგლის-საფრანგეთის ერთიან ფრონტს ერთა ლიგის საბჭოში. როგორც „დეილი ექსპრესი" აღნიშნავს, გადაწყდა დიპლომატიური წესით გააფრთხილონ იტალია, რომ ინგლისი მზად არის საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ეკონომიურ სანქციებს. (ატს).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიმართვა

პარიზი, 23 აგვისტო. „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიმართვა. იმ მოლაპარაკების ჩაშლა, — ნათქვამია მიმართვაში, — რომელიც სწარმოებდა პარიზში იტალია - აბისინიის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, მოწმობს, რომ ომის საფრთხე სცილდება აბისინიაზე იტალიის თავდასხმის ჩარჩოებს. ომის საშინელება ემუქრება აგრეთვე ევროპის ქვეყნებსაც. კომპარტია მოუწოდებს ყველა მშრომელს მოაწყონ ომის წინააღმდეგ საპროტესტო კრებები და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მშრომელები ჟენევაში გაგზავნიან სპეციალურ დელეგაციას, რომელიც მოითხოვს მშვიდობიანობის საქმის დაცვას; იტალიისათვის სესხების მიცემაზე უარის თქმას, სუეცის არხის დახურვას იტალიის სამხედრო ტრანსპორტებისათვის. (ატს).

ინგლისის მინისტრების თათბირი

ლონდონი, 24 აგვისტო. გუშინ მაკდონალდის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა, სამხედრო, საზღვაო მინისტრებმა და შეიარაღებულ ძალთა შტაბების უფროსებმა. „დეილი ტელეგრაფი" ამ თათბირს უწოდებს კაბინეტის 22 აგვისტოს პლენარული სხდომის „ლოგიკურ შედეგს", რამდენადაც მაშინ გადასწყდა, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ერთა ლიგის წესდების მიხედვით. „დეილი ტელეგრაფი", იმოწმებს რა სარწმუნო წყაროებს, სწერს: იტალია შეშფოთებულია იმით, რომ ინგლისი მზად არის მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ მოქმედებაში. (ატს).

რეიტერის სააგენტოს უარყოფა

ლონდონი, 23 აგვისტო. რეიტერის სააგენტო უარჰყოფს, ცნობას რომ იტალიამ „გაფრთხილება" მიიღო ინგლისის მთავრობისგან, და გადმოგვცემს, რომ ინგლისის მთავრობა მუდმივ კონტაქტს იცავს აბისინიის მთავრობასთან. (ატს).

ახალი სესხის გამოშვება გერმანიაში

ბერლინი, 24 აგვისტო. გამოქვეყნებულია დადგენილება 4-ნახევარ პროცენტიანი მილიარდი მარკის რაოდენობის სესხის გამოშვების შესახებ. (ატს).

პარიზში მიდის საბჭოთა სამხედრო მისია

პარიზი, 23 აგვისტო. ხვალ ჩამოდის საბჭოთა სამხედრო მისია. იგი მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის არმიის მანევრებში, რომელიც სექტემბრიდან დაიწყება. მისიას მეთაურობს მუშურ - გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე სედიაკინი. (ატს).

საბჭოთა სამხედრო მისიის ჩასვლა პარიზში

პარიზი, 24 აგვისტო. გუშინ ჩამოვიდა საბჭოთა სამხედრო მისია საფრანგეთის არმიის მანევრებზე დასასწრებლად; მანევრები დაიწყება 2 სექტემბერს. მისიას მეთაურობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსის მოადგილე სედიაკინი. მისიის შემადგენლობაში შედიან წითელი არმიის მეთაურები: ამხ. მალიშენკოვი, ლიზუკოვი, კვიატკოვსკი, უსტინოვი და ბელოვი.

მისიას შეხვდნენ პოლკოვნიკი არმანგო (სამხედრო მინისტრის წარმომადგენელი და საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი), პოლკოვნიკი მალრეზონი (მივლინებული სამხედრო მისიასთან მისი საფრანგეთში ყოფნის განმავლობაში), აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენლები, რწმუნებული სსრ კავშირის საქმეებში გირშფელდი, სამხედრო ატაშე ვენცოვი და სამხედრო-საჰაერო ატაშე ვასილჩენკო. (ატს).

აჯანყება ალბანეთში ჩაქრობილია

ვენა, 23 აგვისტო. იუწყებიან, რომ აჯანყება ალბანეთში საბოლოოდ ჩაქრობილია. ვინაიდან ციხეები და ყაზარმები სავსეა პატიმრებით, ამიტომ დაპატიმრებულთა მოსათავსებლად გამოყოფილია მრავალი კერძო ბინა. დაპატიმრებულთა შორის არიან — ალბანეთის სამხედრო საბჭოს ყოფ. თავმჯდომარე, ყოფილი მინისტრი, არმიისა და ჟანდარმერიის მთელი რიგი უმაღლესი აფიცრები.

400 აჯანყებული გამაგრდა მთებში დივლიაკის ახლოს (სამხრეთ ალბანეთი) და სროლით ეგებებიან მთავრობის ჯარებს. ჯარებმა ალყა შემოარტყეს აჯანყებულებს; იმედი აქვთ, რომ აჯანყებულები დანებდებიან. (ატს).

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის დაკარგვა

ლონდონი, 23 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, რომ გერმანიის დიპლომატიური წრეები ბერლინში შეშფოთებული არიან საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსის ბასევიცის დაკარგვით. ამ განყოფილებას რამდენიმე თვის განმავლობაში მეთვალყურეობას უწევდა საიდუმლო პოლიცია. ბასევიცის თანაშემწე ბარონი შვარცენშტეინი გასული წლის გაზაფხულზე მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკში. ფიქრობენ, რომ ბასევიცი გაიქცა გერმანიიდან. (ატს).

მშენებელ მუშათა გამარჯვება უნგრეთში

ვენა, 23 აგვისტო. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით გუშინ დამთავრდა მშენებელ მუშათა გაფიცვა, რომელიც დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. მეწარმენი დასთანხმდნენ ხელფასის 8 პროცენტით გადიდებას, მთავრობამ კი დაივალა საკანონმდებლო წესით დაადგინოს ხელფასის მინიმუმი „და თანდათანობით შემოიღოს რვასაათიანი სამუშაო დღე". (ატს).

აშხაბად—მოსკოვის მარშრუტით ცხენებით გადარბენის კომანდორს ამხ. სოკოლოვს

ამხანაგური მადლობა ტურქმენისტანის მხედრებს მისალმებისათვის.

ვულოცავ მათ კავალერიის ისტორიაში უმაგალითო გადარბენის წარმატებით ჩატარებას.

მხოლოდ მიზნის სიცხადეს, შეუპოვრობას მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის სიმტკიცეს, რაც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებებს ამსხვრევს,— შეეძლოთ ასეთი სახელოვანი გამარჯვების უზრუნველყოფა.

კომუნისტთა პარტიას შეუძლია მიულოცოს თავის თავს, ვინაიდან სწორედ ამ თვისებებს ავითარებს იგი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ეროვნების მშრომელთა შორის.

ი. სტალინი.

პროფ. ლუი ლაპიკის წერილი ამხ. ვ. მ. მოლოტოვს

სსრ კავშირიდან გამგზავრების წინ, პროფ. ლუი ლაპიკმა, ფიზიოლოგთა საერთაშორისო კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ მოლოტოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც გამოხატავს „ღრმას მადლობას მეტად გულუხვი მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყვეს ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის ფრანგ მონაწილეებს".

პროფესორი აღნიშნავს „გულისხმიერ და განათლებულ მზრუნველობას, რომლითაც საბჭოთა მთავრობა სწავლობს მეცნიერული ორგანიზაციის პრობლემებს".

„ამ მზრუნველობამ, — სწერს ლუი ლაპიკი,—საბჭოთა ფიზიოლოგია დააყენა აყვავების სახარბიელო მდგომარეობაში. გულწრფელად მწამს, რომ თქვენს ფიზიოლოგიას ბრწყინვალე მომავალი მოელის. შეინარჩუნეთ რა ის ინტელექტუალური ხარისხი, რომლითაც სახელი გაითქვა რუსეთის წინანდელმა ფიზიოლოგიამ, თქვენ ერთი ათად, და უფრო მეტად, გაადიდეთ მისი რიცხვობრივი და მატერიალური სიმძლავრე, და იგი ახალი რეჟიმის დროს სუნთქავს თავისუფლების იმ ალტავებით, რომელიც შეადგენს მეცნიერებისათვის ნამდვილად აუცილებელ ატმოსფეროს, ფიზიოლოგია არ დააყოვნებს აგინაზღაუროთ ყოველივე ის, რასაც ხალხი თქვენი მეოხებით მისთვის აკეთებს. და, დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირის მაგალითი,—განსაკუთრებით იმ უფრო მჭიდრო და უკეთ მოწყობილ საერთაშორისო ურთიერთობის დროს, რომელიც თქვენ, ჩემდა სასიხარულოდ, განზრახული გაქვთ დაამყაროთ, — გამოიწვევს მისწრაფებას სერიოზულ შეჯიბრებისაკენ ჩვენ ძველს ქვეყნებში".

შემდეგ პროფ. ლაპიკი ამხ. მოლოტოვს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს, რომელიც მიიღო კოლმეურნეობის დათვალიერების დროს.

„ამ დათვალიერებამ ფრიად დამაინტერესა, — ამბობს პროფ. ლაპიკი,—და საშუალება მომცა დამენახა, გარდა მატერიალური მდგომარეობის და საწარმოო ორგანიზაციისა, რამაც ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, გლეხთა ახალგაზრდობა, კერძოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც ჭეშმარიტად გასაოცარი გონებრივი და ზნეობრივი თვისებებით განსხვავდება".

პროფესორი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„თუ კი აქ, თქვენში, პირველად, შეხვედრილმა სოფელმა რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიჩინა ასეთი გამობრძმედილი ადამიანების გამოყოფის უნარი, შეიძლება მთელ საბჭოთა რესპუბლიკას ვუწინასწარმეტყველოთ ის ბრწყინვალე განვითარება, რომელიც მე, კერძოდ, ფიზიოლოგიას ვუწინასწარმეტყველე".

წითელ არმიას—ღირსეული ცვლა

ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ორი ბრძანება. ერთი წითელი არმიის ვადიანი სამსახურის მებრძოლთა გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნის შესახებ და მეორე მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში 1913 წ. დაბადებულ მშრომელთა გაწვევის შესახებ.

სულ მოკლე ხანში 1911 წლის დაბადებულ წითელარმიელთა შესაცვლელად წითელი არმიის რიგე[illegible]ში ჩადგებიან სოციალიზმის ქვეყანაში აღზრდილნი და დავაჟკაცებულნი, სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო დამკვრელები, ჩვენი დიადი ქვეყნის ერთგული შვილები.

ჩვენი წითელი არმია არის ოქტომბრის რევოლუციით განთავისუფლებული მუშების და გლეხების არმია, პროლეტარული დიქტატურის არმია, და როგორც პროლეტარული დიქტატურის შეიარაღებული დასაყრდენი, იგი უნდა ივსებოდეს სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებით, ჩვენი ქვეყნის პატრიოტებით, იმ ადამიანებით, რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ბოლშევიკური პარტიისა და საყვარელი ბელადის ამხ. სტალინისა.

წითელარმიელი მშრომელი ხალხის შვილია. მხოლოდ მუშათა კლასის საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებულ მუშას, კოლმეურნეს და მშრომელ გლეხს აქვს უფლება ატაროს წითელარმიელის საამაყო სახელწოდება და იარაღით ხელში ფხიზელ გუშაგად იდგეს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის საზღვართა სადარაჯოზე.

საჭიროა გაწვევამდის დარჩენილი მცირე დროის განმავლობაში ჩვენი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გასაწვევთა სოციალურ-კლასობრივი სახის შესწავლას და კლასობრივად მტრულ და მორალურად გახრწნილ ელემენტთა გამომჟღავნებას.

კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ უცხო ელემენტები ყოველმხრივ შეეცდებიან ისარგებლონ ამა თუ იმ ორგანიზაციების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებით და შეიპარონ წითელი არმიის რიგებში. მტრის ასეთ ტაქტიკას უნდა დავუპირდაპიროთ ჩვენი რევოლუციური კლასობრივი სიფხიზლე და ყოველმხრივად შევამოწმოთ გასაწვევი ახალგაზრდობა.

ჩვენს ხელთ არის ცნობები, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ გასაწვევთა სოციალური კლასობრივი სახის შესწავლა ჯერ კიდევ სავსებით დამთავრებული არ არის, აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის, გურჯაანის, სამტრედიის, სენაკის, ჭიათურის და კიროვის (ტფილისი) რაიონებში სუსტად ემზადებიან გაწვევისათვის. ეს საქმე განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული ახალ მშენებლობებზე. ამის უტყუარ საბუთს იძლევა მთავრობის სასახლის მშენებლობის ადგილობრივ ორგანიზაციათა კლასობრივი სიბეცე. წითელ არმიაში შესასვლელად მათ კარგი დახასიათება მისცეს კლასობრივ მტერს, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულს. აქიდან ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ. გასაწვევთა შესწავლაში ფართოდ უნდა ჩააბან აქტიური მუშები, კოლმეურნეები და თვით გასაწვევი ახალგაზრდები.

არის ისეთი რაიონები (ადიგენის, წალკის, ალბულაღის, გურჯაანის და სამხრეთ-ოსეთი), სადაც წერა-კითხვის მცირემცოდნე ახალგაზრდათა რიცხვი ჯერ კიდევ დიდია. ასეთი მდგომარეობა გვაიძულებს განგაში ავტეხოთ და განათლების ორგანოებს მეტი პასუხისმგებლობა მოვთხოვოთ მათზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაში. რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს კი მეტი ყურადღება ჰმართებთ გასაწვევთა მომზადებაში.

ადგილობრივ ორგანიზაციათა დამოკიდებულება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისადმი განისაზღვრება არა „საზეიმო" რეზოლუციებით და დაპირებით, არამედ საქმით და კერძოდ გასაწვევ ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულებით. არ არის იმაზე საპატიო ამოცანა, რომ გასაწვევი მოამზადო წითელარმიელის მაღალი სახელწოდებისათვის. საჭიროა გაწვევამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ და დროზე გამოვასწოროთ ნაკლი.

გასაწვევთა სოციალური მდგომარეობის შესწავლასთან და წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ გასაწვევთა შორის სამხედრო, პოლიტიკური და ფიზიკური მომზადების მასობრივი მუშაობის გაშლას. მეტი ვოროშილოველი მსროლელი, მეტი ფიზკულტურელი! აქტიურად ჩავაბათ ყველა გასაწვევი „ვოროშილოველი მსროლელის" და „მზად ვარ შრომის და თავდაცვის" ნიშანზე საბრძოლველად.

საჭიროა ფართოდ გავშალოთ გასაწვევთა შორის საპროპაგანდო მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გასაწვევთა შორის კომინტერნის მე-7 კონგრესის მასალების, წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვისა და ამხ. ბერიას მოხსენების („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხებისათვის") ღრმად დამუშავებას და შესწავლას.

პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანონ გასაწვევთა შორის სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და გაშალონ ბრძოლა საწარმოო-საფინანსო და სასოფლო-სამეურნეო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, რათა თვითეული გასაწვევი მუშა და კოლმეურნე, რომელიც მივა წითელ არმიაში, ამაყად წარსდგეს სოცშეჯიბრების ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვებათა პატაკით.

წითელ არმიის რიგებში გაწვევა უნდა გადაიქცეს ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა მასობრივ ზეიმად. გულთბილი გრძნობით და სიყვარულით შევხვდეთ გასაწვევ ახალგაზრდობას და ამით უფრო მეტად გავაძლიეროთ წვევამდელთა სიხარული და ენტუზიაზმი.

საჭიროა შევამოწმოთ გასაწვევი წერტები, მოვაწყოთ სანიმუშოდ და კულტურულად, რომ მთელი მათი მუშაობა უპასუხებდეს ბოლშევიკური დარაზმულობის მოთხოვნებს. გასაწვევ წერტში მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს პოლიტ-აპარატი თავისი მოქნილი მასობრივი მუშაობით. თვითეული გასაწვევის ირგვლივ უნდა შევქმნათ გულთბილი ყურადღების და ამხანაგური მზრუნველობის ატმოსფერო.

25 სექტემბერს საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაიწყება გაწვევა. ვიბრძოლოთ გაწვევის საუკეთესო მომზადებისათვის. ვიბრძოლოთ საქართველოს ცაკის გარდამავალი წითელი დროშისათვის. გავამახვილოთ რევოლუციურ-კლასობრივი სიფხიზლე. ბოლშევიკურად ჩავატაროთ წითელ არმიაში მეორე ხუთწლედის მესამე წლის გაწვევა.

ა. ბერიძე

საქ. სამობილიზაციო ოლქის უფროსი.

საბჭოთა კავშირში

ცნობები არქტიკიდან

არხანგელსკი, 24 აგვისტო. წითელდროშოვანი ყინულისმჭრელი „სიბირიაკოვი" მივიდა ოლოვიანის კონცხზე (ჩრდილოეთის მიწა). აქ, როგორც კი ღელვა მიწყნარდება, გადმოსხამს მოზამთრეთა ჯგუფს, რომელსაც მეთაურობს ჩელუსკინელი—ამხ. კრენკელი. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ „სედოვი" 1933 წელს და „სადკო" გასულ წელს შეეცადნენ მისულიყვნენ ოლოვიანის კონცხამდე, მაგრამ წააწყდნენ გაუვალ ყინულს და იძულებული გახდნენ გამოერიცხათ იგი თავისი მარშრუტიდან.

ყინულმჭრელი „კრასინი". 24 აგვისტო. დღეს „კრასინმა" დაამთავრა საჭურველის გადმოზიდვა ვრანგელის კუნძულის მოზამთრეებისათვის. მუშაობა შესრულდა 3 დღეს მძიმე პირობებში.

არხანგელსკი, 24 აგვისტო. დღეს დიქსონის კუნძულზე მივიდნენ გემი „ანადირი" და გემი „სტალინგრადი", რომლებიც ასრულებენ პირდაპირ რეისს ვლადივოსტოკ—მურმანსკი. რამდენიმე ათასი კილომეტრი მათ გაიარეს უავარიოთ, თითქმის ყინულმჭრელთა დაუხმარებლად. ამ გემებით მთელი რიგი პოლარული სადგურების მოზამთრეები ბრუნდებიან არქტიკიდან.

არხანგელსკი, 24 აგვისტო. დღეს კოლგუევის, ვაიგაჩის და ახალი მიწის კუნძულების ნაპირებთან 32 დღე-ღამის ცურვის შემდეგ, დაბრუნდა გემი „ვეტლუგა". გემმა მოიარა 11 სარეწაო სადგომი და მოამარაგა მრეწველები სხვადასხვა ნივთებით და სურსათ-სანოვაგით რაც საჭიროა მომავალი ზამთრობისათვის. გემმა მოიტანა წლიური პროდუქცია (ქონი, ზღვის ნადირის ტყავი, თევზი).

„ვეტლუგით" ჩამოვიდნენ მოზამთრეები „რუსეთის ნავსაყუდელიდან" და „სურვილის კონცხის" პოლარულ სადგურებიდან; ჩამოვიდა აგრეთვე ახალი მიწის კუნძულის საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე — ნენეცი ტიკოვილკა (ატს).

არწივების ჩამოხსნა კრემლის კედლის კოშკებიდან და საისტორიო მუზეუმის შენობიდან

მოსკოვი, 22 აგვისტო. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტმა გადასწყვიტეს 1935 წლის 7 ნოემბრისათვის მოიხსნას 4 არწივი, რომლებიც მოთავსებულია კრემლის კედლის სპასკის, ნიკოლსკის, ბოროვიცკისა და ტროიცკის კოშკებზე და 2 არწივი საისტორიო მუზეუმის შენობიდან. ამ დროისათვის გადაწყვეტილია კრემლის აღნიშნულ 4 კოშკზე დასდგან ხუთქიმიანი ვარსკვლავი ნამგლით და ჩაქუჩით (ატს).

საფრანგეთის საზოგადოების „სსრ კავშირის მეგობართა" წევრების ჩასვლა ლენინგრადში

ლენინგრადი, 23 აგვისტო. 23 აგვისტოს თბომავალ „ძერჟინსკით" საფრანგეთიდან ლენინგრადში ჩამოვიდა „საბჭოთა კავშირის მეგობართა" საზოგადოების 94 წევრი. მათ მეთაურობს ამ საზოგადოების პარიზის განყოფილების მდივანი — ბ. ობერი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან „საბჭოთა კავშირის მეგობართა" საზოგადოების წევრები პარიზიდან, მარსელიდან, ნიციდან, ჰავრიდან და საფრანგეთის სხვა ქალაქებიდან, თითქმის ყველანი პირველად მოდიან სსრ კავშირში. (ატს)

ანრი ბარბიუსის ავადმყოფობა

მოსკოვი, 23 აგვისტო. მოსკოვში მყოფი ცნობილი ფრანგი მწერალი ამხ. ანრი ბარბიუსი ფილტვების ანთებით გახდა ავად. ამხ. ა. ბარბიუსი კრემლის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას დიდი გულმოდგინეობით უვლიან. (ატს).

საქართველოს

II ინტერნაციონალი და ერთიანი ფრონტი

კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესმა, „მსოფლიო პროლეტარიატის ერთიანობის კონგრესმა, რომელიც ეს—ეს არის დამთავრდა, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის უფართოესი მასების გულში. კონგრესმა მგზნებარედ და დაჟინებით მოუწოდა მსოფლიო პროლეტარიატს მოქმედების ერთიანობით აღმართოს ჯებირი ფაშისტური ბარბაროსობისა და ახალი ომის წინააღმდეგ. მის ხმას შეისმენენ ყველა ქვეყნის პროლეტარები.

II ინტერნაციონალის ბიურო, რომელმაც სულ ახლახან—1934 წლის შემოდგომაზე და მიმდინარე წლის ზაფხულში—უარჰყო კომინტერნის განმეორებით წინადადება ინტერნაციონალური მასშტაბით მოქმედების ერთიანობის შესახებ, საჭიროდ სთვლის ერთხელ კიდევ განიხილოს ეს საკითხი.

როგორც ბრიუსელიდან მიღებული დეპეშებიდან ჩანს, იქ ამ დღეებში შესდგა II ინტერნაციონალის აღმასკომის ბიუროს სხდომა. საფრანგეთის დელეგაციამ სხდომაზე აღძრა საკითხი კომუნისტურ ინტერნაციონალთან კონტაქტის დამყარების შესახებ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მიზნით. ფრანგების წინადადებამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენლებმა. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ბიურომ დაავალა გენერალურ მდივანს ფრიც ადლერს შეადგინოს წერილობითი მოხსენება, როგორც კი გამოქვეყნდება კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის სრული ანგარიშები და რეზოლუციები. მოხსენებას განიხილავენ აღმასკომის უახლოეს სხდომაზე ორი თვის შემდეგ.

ამავე სხდომაზე მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის ბიურომ განიხილა იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხი, მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი აბისინიაში იტალიის დამპყრობლური გეგმების წინააღმდეგ. ბიურო მოითხოვს, რომ დაიხუროს სუეცის არხი სამხედრო ტრანსპორტებისათვის, უარი ეთქვას იტალიას ფინანსიურ დახმარებაზე, იტალია-აბისინიის კონფლიქტი გადაიჭრას არბიტრაჟის გზით და შენარჩუნებულ იქნას აბისინიის ტერიტორიალური მთლიანობა და ხელუხლებლობა. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ იტალია-აბისინიის ომს სერიოზული შედეგები მოჰყვება ევროპისათვის, ვინაიდან იგი წააქეზებს ფაშისტურ გერმანიას აგრესიული მოქმედებისაკენ. ცალკეულ პარტიებს იტალია-აბისინიის ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში მიენიჭა მოქმედების თავისუფლება ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გამოყენებით „მათი ქვეყნების კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით“.

მაგრამ II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ვერ შეიძლება არ გამოიწვიოს სამართლიანი იმედისგაცრუება მუშათა მასებში. უსათუოდ მართალია ამხ. კაშენი, რომელიც „ლუმანიტეში“ სწერს, რომ ახლანდელ პირობებში უაღრესად სასურველი, აუცილებელი და დროულია ინტერნაციონალის და კომინტერნის დაახლოვება.

კაცმა რომ სთქვას, კიდევ რა მასალები უნდა შეაგროვოს ფრიც ადლერმა? რა დამატებითი ინფორმაცია სჭირდება II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას?

კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა უაღრესად ავტორიტეტული განცხადებანი VII კონგრესზე იოტის ოდენა ეჭვსაც კი არ იწვევენ. მათ აშკარად და კატეგორიულად მოითხოვეს მოქმედების ერთიანობის დაუყოვნებლივ დამყარება. კომინტერნის გენერალური მდივნის ამხ. დიმიტროვის ყველა გამოსვლა გამსჭვალული იყო მგზნებარე მოწოდებით მოქმედების ერთიანობისაკენ. თავის მოხსენებაში ამხ. დიმიტროვმა სთქვა.

„კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა და მშრომელთა მილიონები აყენებენ კითხვას: როგორ შევუშალოთ ხელი ფაშიზმის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში და როგორ დავამხოთ გამარჯვებული ფაშიზმი? კომუნისტური ინტერნაციონალი უპასუხებს: **პირველი, რაც უნდა გაკეთდეს და რითაც აუცილებლივ უნდა დავიწყოთ—ეს არის ერთიანი ფრონტის შექმნა, მუშათა მოქმედების ერთიანობის დამყარება ყოველ საწარმოში, ყოველ რაიონში, ყოველ ოლქში, ყოველ ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში. პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა ნაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით — აი ის ძლიერი იარაღი, რომელიც მუშათა კლასს აძლევს არა მარტო წარმატებით თავდაცვის უნარს — არამედ იმის უნარსაც, რომ წარმატებით აწარმოოს კონტრშეტევა ფაშიზმის წინააღმდეგ, კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.**

დრო არ ითმენს. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მდომარეობაში იქნება მსოფლიო ორი თვის შემდეგ, როცა ფრიც ადლერი II ინტერნაციონალის აღმასკომს წარუდგენს თავის წერილობით მოხსენებას.

მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი თავისი ორგანიზაციებისაგან მოელის დაუყოვნებლივ საერთო მოქმედებას.

„პრავდა“ 23 VIII.

სოცშეჯიბრებაში ჩაბმული მოწინავე კოლმეურნე ქალები

(კოლმეურნის წერილი)

წალენჯიხის რაიონის ეკონომიურად წამყვან კულტურას ჩაი წარმოადგენს. წალენჯიხის რაიონის ჩაით დაფარული მწვანე ველები იძლევიან მოწინავე დამკვრელებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სოფ. ჭალის კოლმეურნეობის წევრთა ყოველდღიური, ენერგიული ბრძოლა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში ბრიგადირ **იპ. არქანიას** ხელმძღვანელობით ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ჩაის მკრეფავი **ქალები ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში. ამიტომ** არის, რომ ისინი ფოთლის კრეფის ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ლავ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის ბრიგადაში, რომელსაც კომკავშირელი ბრიგადირი ვ. **შონია** ხელმძღვანელობს, ყველა წევრი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჯერ კიდევ აპრილის ბოლო რიცხვებში ამ ბრიგადამ იკისრა ჩაის ფოთლის კრეფაში მოცემულ საწარმოო დავალებათა კარგად შესრულება. მათ სიტყვა საქმედ აქციეს. ეს იმიტომ, რომ ამ ბრიგადაში განმტკიცებულია შრომის დისციპლინა, **არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლმეურნეს უმიზეზოდ გაეცდინოს დღე.**

ამ ბრიგადაში შრომის ენტუზიასტები არიან: **ლუბაშა აქუბარდია, გუგუშა აქუბარდია, ოლღა უბილავა.**

კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავი ქალები **შაშკო მარჩია, ვარვარა მანია, ლიმო აკობია, მალინა შონია.** არა მარტო თითონ ჰკრეფენ ფოთოლს ხარისხიანად, არამედ **სხვებსაც ასწავლიან,** თუ როგორ უნდა ჰკრიფონ ჩაის ფოთოლი. ამიტომაა, რომ ესენი ჩაის კრეფის იზოტოველებად არიან ცნობილნი.

კოლმეურნეობის გამგეობამ ღირსეულად შეაფასა ზემოხსენებულ დამკვრელთა აქტივობა და დააჯილდოვა ისინი ჩაის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის.

ვ. აქუბარდია.

ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესის დელეგატები ტფილისში

ფიზიოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონგრესის დელეგატები, რომლებიც 23 აგვისტოს ჩამოვიდნენ ტფილისში, მეორე დღესვე დილიდან შეუდგნენ ქალაქის გაცნობას.

არჩეულ იქნა მარშრუტი, რომელიც საშუალებას აძლევდა უფრო სრულად გაცნობოდნენ ქალაქს.

დელეგატებმა გაიარეს რუსთაველის პროსპექტი და ლენინის ქუჩა, და შემდეგ, ჩელუსკინელების სახელობის ხიდით, პლეხანოვის პროსპექტით მივიდნენ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ბოლომდე. აქედან დელეგატები გამობრუნდნენ და კლარა ცეტკინის ქუჩით გაემართნენ ავლაბრისკენ, საიდამაც წავიდნენ ამიერ - კავკასიის ფედერაციის მოედნით კომკავშირულ ხეივნისაკენ.

გზადაგზა მათ აინტერესებდათ ახალი მშენებლობა — მთავრობის სასახლე, მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტი, — კულტურის უძველესი ძეგლები, საწარმოები, ძველი ქალაქი და სხვა.

ყოველ ავტობუსზე იყო „ინტურისტის“ გიდი-თარჯიმანი, რომელიც დაწვრილებით ახსნა - განმარტებას აძლევდა სტუმრებს.

მეცნიერებმა გადაიღეს მთელი რიგი ფოტოსურათები.

ნაშუადღევის პირველ საათზე დელეგატთა ჯგუფი გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიოლოგიურ და გეოლოგიურ ინსტიტუტთა მუშაობის გასაცნობად.

ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში პროფ. ი. ს. ბერიტაშვილმა დელეგატებს გააცნო ინსტიტუტის ამოცანები და მიმდინარე მეცნიერული მუშაობა; კერძოდ, დელეგატებს აინტერესებდათ ცხოველთა ჩვევების გამოვლინება. დელეგატებს ამომწურავი ახსნა - განმარტება მიეცა საგამოკვლევო ხელსაწყოთა დემონსტრაციით.

გეოლოგიურ ინსტიტუტში დელეგატებმა დაათვალიერეს მთამადნეულის მდიდარი კოლექცია, აგრეთვე მთის ქანების ნიმუშები, აქ სტუმრებს ახსნა - განმარტებას აძლევდა პროფ. ა. ჯანელიძე.

საღამოს დელეგატების დიდი ნაწილი ავტობუსებით აიდა ფუნიკულიორის ზედა სადგურზე. განათებულ ტფილისის სურათმა უცხოელ სტუმრებში აღტაცება გამოიწვია. ზოგიერთი დელეგატი ფუნიკულიორის ვაგონით ჩამოვიდა უკან.

იმავე საღამოს დელეგატები ეწვივნენ საქართველოს სურათების გალერეას, სადაც ახსნა - განმარტებას იძლეოდა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ა. ი. დუდუჩავა. მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ფიროსმანაშვილის ნახატებს; მხატვრის ბიოგრაფიას სტუმრები გაცნობილნი იყვნენ.

* *

25 აგვისტოს დილით დელეგატებმა იხილეს საქართველოს ცენტრალური მუზეუმი, სადაც დაათვალიერეს გამოფენები: სვანური, ხევსურული, არქეოლოგიური, (წინაისტორიული ადამიანის გამოქვაბულით), გეოლოგიური, ზოოლოგიური, აგრეთვე უძველესი ქართული ხელსაქმისა და ტანსაცმლის გამოფენა.

უცხოელ ფიზიოლოგთა ერთი ჯგუფი პროფ. ბერიტაშვილის (სდგას მარჯვნივ) მეთაურობით ათვალიერებს ქალაქს.

დღისით სტუმრები ეწვივნენ კურორტოლოგიის ინსტიტუტს, სადაც დირექტორმა პროფ. კონიაშვილმა გააცნო მათ ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები. დელეგატებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საკურორტო მშენებლობა და კეთილმოწყობა საქართველოში.

ამავე დღეს დელეგატები ეწვივნენ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის — პროფ. დ. დერეის სახელობის საშრატო განყოფილებას. ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ. ელიავამ სტუმრებს უჩვენა საცდელი ცხოველები, გააცნო მათ დიფტერიტის, ქუნთრუშის, დამბლის საწინააღმდეგო შრატის მიღების მეთოდები და სხვ.

საფრანგეთის დელეგატებმა პროფ. ბერტრანმა და პროფ. ლინერმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ინსტიტუტის მუშაობისადმი, რასაც ისინი წინათ იყვნენ გაცნობილი.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე ბოტანიკურ ბაღში. (აჲს).

პროფ. ერნსტ. ბრუკერი

ინსბრუკის ფიზიოლოგ. ინსტიტუტი

(ავსტრიის ტიროლი)

— როცა დავბრუნდები ჩემს ინსტიტუტში, ახალი სასწავლო წლის დაწყების დრო იქნება და თუ ვინმეს დაინტერესებს ჩემი შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის ან კონგრესის მუშაობის შესახებ მე ამას ვეტყვი:

ვნახე ქვეყანა, სადაც ჩვენს კოლეგებს მუშაობის გაშლის დიდი შესაძლებლობა აქვთ, სადაც მათ მთავრობა უდიდეს დახმარებას უწევს და სადაც არ მოიპოვება არც ერთი უმუშევარი მეცნიერი მუშაკი.

მე ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირში იქმნება ახალი ცხოვრება და მეცნიერები მუშაობენ იმისათვის, რომ ეს ახალი ცხოვრება უკეთესი იქნეს. საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა მრავალი ახალი სიტყვა გვითხრეს ახლახან დამთავრებულ კონგრესზე. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ დღემდე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან არ გვქონდა მჭიდრო კავშირი. ეს კავშირი აუცილებლად უნდა არსებობდეს, რომ უფრო წარმატებით ვიმუშაოთ, როგორც ჩვენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მუშაკებმაც.

მე ვეტყვი აგრეთვე ჩემს თანამოსაუბრეებს, რომ ვნახე ულამაზესი ქვეყანა საქართველო და გავიარე იშვიათი სილამაზის გზა—საქართველოს სამხედრო გზა.

პროფ. იან. სოსნოვსკი

ვარშავის უნივერსიტეტი

— ფიზიოლოგიაში კვლევა-ძიებითი მუშაობა, მე ვფიქრობ, არც ერთ ქვეყანაში ისე ფართოდ არ არის გაშლილი, როგორც საბჭოთა კავშირში. ამიტომ მოხდა, რომ ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე მოსმენილ მოხსენებათა თითქმის ერთი მესამედი საბჭოთა კავშირზე მოდის.

მე პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ვერევი და არც მაინტერესებს ეს; მაგრამ აქ საბჭოთა კავშირში ჩემთვის გახდა გასაგები, თუ რატომ არიან საბჭოთა მეცნიერი მუშაკები პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებულნი. მე მგონია, ეს იმით აიხსნება, რომ აქ მთავრობა და თითონ მმართველი პარტია უდიდეს დახმარებას უწევენ მეცნიერებს, აძლევენ მათ მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას და მეცნიერი მუშაკებიც მხარს უჭერენ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას.

სხვა კოლეგებთან ერთად მე მოხიბლული ვარ იმ გულთბილი შეხვედრებით, რომელსაც ჩვენ გვიწყობენ საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობა პასუხსაგებ საქმეში

საქართველოს სახკომსაბჭოს 1933 წლის 3 თებერვლის დადგენილების საფუძველზე საქ. ტყის მრეწველობის ტრესტს ჩამოერთვა მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში ხე-ტყის დაცურება და გადაეცა კურორტთა მთავარ სამმართველოს.

კურორტთა მთავარ სამმართველოზე ამ საქმის გადაცემა გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომ სატყეო ტრესტის დაცურების ხელმძღვანელებმა 1932 წელს, მოქ. მირზა ბალასანოვის და კოსტა ქებიშევის უხეირო ხელმძღვანელობით, გეგმით გათვალისწინებული ჯოლგით დასაცურებელი (ადიგენიდან ახალციხემდე) 30.000 კ. მ. ხე-ტყიდან ჩამოაცურეს მხოლოდ 12.000 კ. მ. და ამაზე დახარჯეს მთელი რაოდენობისათვის გათვალისწინებული თანხა 200.000 მანეთის გადახარჯვით. დამნაშავე პირები კი, როგორც ეს საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის მაშინდელ ხელმძღვანელებს ჩვეულებად ჰქონდათ პასუხისგებაში არ მისცეს.

კურორტთა მთავარ სამმართველოს დამცურებელმა მეურნეობამ 1933—34 წლებში პირველობა მოიპოვა ხე-ტყის დროულად დაცურებაში, რისთვისაც ჯილდოდ მიიღო რესპუბლიკანური გარდამავალი დროშა. შემდეგ ეს მეურნეობა კურორტთა მთავარ სამმართველომ, „ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების მიზნით“, გააუქმა და ჯოლგით ხე-ტყის დაცურება გადასცა ახალციხემდე ადიგენის სატყეო მეურნეობას.

მიმდინარე წლის 21 აპრილის სახკომსაბჭოს დადგენილებით საქ. კომუნალური მეურნეობის კომისარიატს დაევალა დაეარსებინა ახალციხეში დამცურებელი მეურნეობა. ახალციხის დამცურებელი მეურნეობის გეგმის დროულად შესრულება კი ძირითადათ დამოკიდებულია ადიგენის სატყეო მეურნეობის მიერ ჯოლგათ დროულად დაცურებაზე, ისმის საკითხი, როგორია ადიგენის მეურნეობის ხელმძღვანელობის მუშაობა?

მიმდინარე წელში ადიგენის სატყეო მეურნეობამ გეგმით უნდა დააცუროს ახალციხემდე 15.000 კ. მეტრი სამასალე ხე-ტყე და 5.000 კ. მ. შეშა ჯარისათვის. გარდა ამისა 3.000 კ. მ. სამასალე აჭარტრესტის კურორტის მიერ შესყიდული მერქანი. სულ 23.000 კ. მეტრი ხე-ტყე.

ამ რაოდენობიდან **პირველი** დაცურებით ჯერ ჩამოვიდა ახალციხეში 7.500 კ. მ. დაცურების მეორე პარტია 6.000 კ. მ. რაოდენობით გაჩერებულია ახალციხიდან 27 კილომეტრის დაშორებით და ჩამოვა მხოლოდ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. მესამე დაცურებაში არის 5.500 კ. მ. და ის დაშორებულია ახალციხიდან ორმოცდა თორმეტი კილომეტრით. ის ჩამოვა ახალციხეში 1936 წლის აგვისტოსათვის, ხოლო 4.000 კ. მ. ჩარჩენილია ღალოვის, კიკიბოს და ძინძესუს კაპებში და დაცურდება ახალციხემდე მხოლოდ მომავალი წლის შემოდგომაზე. არ დავივიწყოთ, რომ მთელი ეს სამუშაოები გეგმით დამთავრებული უნდა [illegible] მთავარი საკითხი. რაზედაც, როგორც კურორტის სამმართველო, ისე ადგილზე დაცურების ხელმძღვანელები ჯერ თავს არ იწუხებენ, არის წითელი არმიის დროულად დაკმაყოფილება შეშით: შეშა ზოგი ჩარჩენილია კაპებში და ორი ათასი მეტრის რაოდენობით დარჩენილია მესამე დაცურებაში. და ეს იმ დროს, როდესაც კურორტთა მთავარ სამმართველოს და არმიის შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით სამმართველომ 5.000 კ. მ. შეშა უნდა ჩააბაროს მესამე კვარტალში, ხოლო გეგმით ამ რაოდენობის ჩამოცურება გათვალისწინებული აქვს მეოთხე კვარტალში. ასე, რომ გეგმა და ხელშეკრულების შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

რამ გამოიწვია ასეთი სამარცხვინო გარღვევები ხე-ტყის დაცურების მხრივ ადიგენის რაიონში?

კურორტთა სამმართველომ ადიგენის სატყეო მეურნეობაში შესცვალა ძველი ხელმძღვანელობა და ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც არის დაცურება, ჩააბარა 1932 წელში სამარცხვინო გარღვევებისა და გადახარჯვისათვის გაძევებულ მირზა ბალასანოვს.

საკმარისია გადავხედოთ კურორტთა სამმართველოს სატყეო სექტორის მიერ შედგენილ დაცურების გეგმას, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ, როგორც ცენტრს, ისე მის რაიონს, ნაკლებად ესმით ამ დაცურების საკითხი: მათ გეგმით გათვალისწინებული ჰქონდათ მეორე კვარტალში, როგორც უფრო ხელსაყრელ პერიოდში, 3.500 კ. მეტრის დაცურება ნაცვლად 12—15 ათასისა.

თუ პირველად არტელური სისტემით მუშაობა დაწყებული ქონდა ძველ ხელმძღვანელობას,—ახალმა ვერც ერთი არტელი ბოლომდის ვერ შეინარჩუნა და მუშაობა მოუხდა დღიური მუშების საშუალებით. არა ერთხელ წაგვიკითხავს „კომუნისტში“, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ხელსაყრელია თოვლის დნობის პერიოდის გამოყენება; მაგრამ კურორტთა სამმართველოს მუშაკებისათვის ეს წრეულს გაუგებარი დარჩა და წყალდიდობა არ იქნა გამოყენებული.

ასეთი მუშაობით კურორტთა სამმართველომ საფრთხეში ჩააყენა როგორც წითელი არმიის შეშით ზამთრისათვის მომარაგების საქმე, ისე ახალციხის დამცურებელ მეურნეობის გეგმის თავის დროზე შესრულება: სახკომსაბჭოს განრიგით მშენებლობისათვის საამშენებლო ნედლეულის მიწოდება.

ჩვენი დასკვნა. უმწეო მდგომარეობიდან რომ გამოვიდეს ხე-ტყის დაცურება 80 პროცენტით მაინც, საჭიროა სათანადო ორგანოების სასწრაფო ჩარევა და გარდამწყვეტი ზომების მიღება, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის.

ახალციხის დამცურებელი მეურნეობის უფროსი ს. ქაჯაია.

საქართველოს საკოლმეურნეო ფერმები 1935 წლის I-ლ ნახევარში

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, საქართველოს საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმები მტკიცე ნაბიჯით მიდიან სულადობის შემდგომი ზრდის, სასაქონლო პროდუქციის გადიდებისა და პირუტყვის ხარისხობრივი გაუმჯობესების გზით. ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის მეცხოველეობის მაჩვენებლები უკვე 1935 წლის პირველ ნახევარში მოწმობენ, რომ ჩვენ ვდგევართ დიდ სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკებისა და ოლქების წყებაში, ხოლო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მხრივ საქართველოს მიღწევები მეცხოველეობის დარგში აცილებითაც სჭარბობენ საშუალო - საკავშირო მაჩვენებლებს.

მეცხოველეობის საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების რიცხვის ზრდა მარტო 1934 წლის განმავლობაში ასეთია: სარძეო - სასაქონლო ფერმები წლის დასაწყისისათვის იყო 306, წლის ბოლოს გახდა 448, მეცხენეობის სასაქონლო ფერმების რიცხვი შესაბამისად გაიზარდა 20-დან 23-მდე, მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა — 156-დან 242-მდე და მეღორეობის სასაქონლო ფერმებისა 108-დან 175-მდე.

გაიზარდა ამ ფერმების სულადობაც: სარძეო - სასაქონლო ფერმებში — 32005 სულიდან 38.715-მდე, მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში შესაბამისად — 1025-დან 1433-მდე, მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში — 144.005-დან 185.100-მდე და მეღორეობის სასაქონლო ფერმებში — 11.410-დან 15.414-მდე.

თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ფერმებში მუშაობის ხარისხიც (პირუტყვის მოვლა, ჯიშობრივი შემადგენლობა, ზოოვეტღონისძიებათა დანერგვა და სხვ.), რის შედეგადაც, თუ 1933 წელს ხბოების სიკვდილიანობა 15 პროცენტს აღემატებოდა 1934 წლის დამლევისათვის ეს პროცენტი უკვე 9,8—ზე მეტი აღარ იყო, გოჭების სიკვდილიანობა შემცირდა შესაბამისად 29,3 პროცენტიდან 20,2-მდე, ბატკნებისა — 7,5-დან 7,2-მდე.

სასაქონლო ფერმების საუკეთესო და ჯიშობრივად მაღალი ღირებულების პირუტყვის ბაზისზე მოწყობილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 35 საჯიშე ფერმა 1.862 სული საქონლით, საიდანაც 900 სული დედა-პირუტყვია, მეცხვარეობის 12 საჯიშე ფერმა 14.212 სულით, საიდანაც 7.620 დედაცხვარია, მეღორეობის 14 საჯიშე ფერმა 810 სულით, საიდანაც 202 დედა-ღორია.

საჯიშე ფერმებში იშვიათი არაა ისეთი ძროხები, რომელნიც წელიწადში იწველიან 1.500 ლიტრ რძეს და მეტსაც, ცხვრები, რომლებიც იძლევიან 4 კილოგრამამდე მატყლს და ღორები, რომელთა გოჭებს საქართველოს სასაქონლო ფერმების ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად ვიყენებთ.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა უკვე 1934 წელს მიგვითითა, რომ მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა „გამოყენებულ იქნას, თესვის სახელმწიფო გეგმის მაგალითისამებრ, მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მეთოდი, პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმიანი ამოცანების დაწესებით“.

ამ მუშაობაში წარმატება ბევრად დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ სოფლის საბჭოებამდე, სოფლებამდე, კოლმეურნეობებამდე, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე დროულად დავიყვანოთ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები, მოზარდი პირუტყვის გაზრდის, სულადობის გადიდების, ფერმების მიერ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან პირუტყვის შესყიდვის გეგმები, საჯიშე ფერმების ორგანიზაციის, საკვების წარმოების, საძროხე ხბოების კონტრაქტაციის და კოლმეურნეთა უძროხობის ლიკვიდაციის გეგმები და სხვ.

შემოწმების შედეგებით ირკვევა, რომ ეს მუშაობა საქართველოში უკვე დაწყებულია, და, პირველი ცნობების მიხედვით, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აჭარისტანში, სიღნაღის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ბორჯომის, თიანეთის და სხვა რაიონებში. მათმა უმრავლესობამ უკვე გამოაქვეყნა ადგილობრივ პრესაში რაიონული და სახელმწიფო გეგმები სოფლებისა და სასოფლო საბჭოების მიხედვით და თან დასახა აუცილებელი ღონისძიებანი ამ გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი სამუშაო საკმაოდ არ არის გაშლილი ბორჩალოს, ყარაიას, ლუქსემბურგისა და კასპის რაიონებში.

ამ მნიშვნელოვანი საკითხის შეუფასებლობამ, ამ გეგმების დაყვანის სწორი ტექნიკის აუთვისებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ყველა შესაძლებლობა არ აღირიცხოს და ამით გასაქანი მიეცეს კულაკურ აგიტაციას — გაახნიონ და გაანადგურონ ყველაზე ძვირფასი და აუცილებელი რამ სულადობის გაფართოებულ აღდგენისათვის — სასაქონლო ფერმების მოზარდი პირუტყვი.

მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მდგომარეობის უკეთესი ილუსტრაციისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაჩვენებელი ჩრდილო-კავკასიასთან შესადარებლად, საკავშირო მიწსახკომის ა. წ. 1 ივლისის ცნობების მიხედვით.

1935 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში არსებობს საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმები: სარძეო - სასაქონლო — 560 — 54.937 სულით, მეცხენეობის — 45 — 2537 სულით, მეცხვარეობის — 234 — 22.009 სულით.

საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმების ზრდა 1935 წელს 1 იანვრიდან 1 ივლისამდე შემდეგ სურათს გვაძლევს: სარძეო - სასაქონლო ფერმებს შეემატა 112, მეცხენეობის ფერმებს — 7, მეცხვარეობის ფერმებს — 70 და მეღორეობის ფერმებს — 59, ხოლო სულადობის მომატება ამავე ხნის განმავლობაში სარძეო - სასაქონლო ფერმებში —16.222 სული, მეცხენეობის საქ-ფერმებში — 1.140, მეცხვარეობის სასაქ. ფერმებში — 87 458 და მეღორეობის სასაქ. ფერმებში — 6.609.

სარძეო - სასაქონლო ფერმებში სულადობის შედარებით დიდ ზრდას იძლევიან ბორჩალოს, გურჯაანის, თელავის რაიონები. მაგრამ მთლიანად საქართველოში ფერმებისა და მათი სულადობის საერთო ზრდასთან ერთად არიან ისეთი რაიონებიც, რომელნიც ამ პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შემცირებას გვაძლევენ. ეს რაიონებია: ყაზბეგის, ქუთაისისა და ვანის. არიან ისეთი რაიონებიც, სადაც ფერმებისა და მათი სულადობის რიცხვი, თუმცა არ შემცირებულა, მაგრამ ზრდაც უმნიშვნელოა. ხოლო ლენინგორის რაიონში (სამხრეთ - ოსეთი) კოლმეურნეობა „ბალანში“ ისიც კი „მოახერხეს“, რომ სასაქონლო ფერმა დაშალეს და მისი სულადობა კოლმეურნეებს დაურიგეს უძროხობის ლიკვიდაციის მიზნით(!).

მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების მხრივ დიდ ზრდას იძლევიან ბოგდანოვკის, გორის, სიღნაღის, თელავის, ტფილისის, ბორჩალოს და ლუშეთის რაიონები; დანარჩენ რაიონებში კი, მათ შორის მთლიანად სამხრეთ - ოსეთშიაც, ზრდა უმნიშვნელოა.

თუ ამ მაჩვენებლებს ჩრდილო-კავკასიის 1-ლი ივლისის მაჩვენებლებთან შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: მოგვყავს ცხრილი პროცენტობით — 1935 წლის 1 იანვართან შედარებით.

მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი.

	საქ. სსრ	ჩრდ.-კავკ. მხარე
1. ფერმების რიცხვის ზრდა	124,1	117,0
2. მათში სულადობის	139,5	142,4
3. მათ შორის ძროხების რიცხვის	111,0	117,9
4. სულადობის მომატება	31,8	43,9
5. დანაკლისი	7,2	8,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩრდილო - კავკასიის მხარესთან შედარებით ფერმების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, ჩვენ ჩამოვრჩებით სულადობის მხრივ. ეს აიხსნება ჩრდილო - კავკასიაში უკეთესი ორგანიზაციით და ფერმებისათვის პირუტყვის შესყიდვით. თუმცა ჩვენში რაიონებს კრედიტები აქვთ და თვით კოლმეურნეობებსაც სათანადო შესაძლებლობანი მოეპოვებათ, ეს სამუშაო საქართველოში მაინც ჩამორჩება.

დღემდე არცერთი სული არ შეუსყიდიათ და არ გადაუციათ ფერმებისათვის ლუშეთის, აბაშის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ყარაიას და ფოთის რაიონებს. ან, მაგალითად, ავიღოთ ისეთი რაიონები, რომლებმაც უმნიშვნელო რაოდენობა გადასცეს: ამბროლაურის (16 სული), თიანეთის (17) ბორჩალოს (25) და თელავის (25). ამ რაიონებმა ნახევარი წლის მუშაობაში მეტად დაბალი მაჩვენებლები მოგვცეს, — სასაქონლო ფერმებს იმდენი სულადობა გადასცეს, რომ ეს გეგმების შესრულებას სრულებით ვერ უზრუნველჰყოფს. ჩრდილო - კავკასიასთან შედარებით ფერმებში ჩამორჩენა გვაქვს ხბოს მოვლაში, მოზარდი პირუტყვის შენარჩუნებაში: 1 ივლისისათვის საქართველოში ხბო მოიგო ძროხების 61 პროცენტმა, ხოლო ჩრდილო - კავკასიაში — 71,3 პროცენტმა, სიკვდილიანობა შესაბამისად შეადგენს 4,4 და 3,1 პროცენტს.

როგორც ვხედავთ, ჩრდილო - კავკასიის მხარემ დიდი მუშაობა შეასრულა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდთა შესანარჩუნებლად, ხბოების სიკვდილიანობა, რაც 1934 წელს 6,4 პროცენტს შეადგენდა, 1935 წელს 3,1 პროცენტამდე შეამცირა.

საქართველოში მოზარდი პირუტყვის შენარჩუნების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან: თელავის (სიკვდილიანობა 0,4 პროც.), ვანის (1,4), მახარაძის (2,7) რაიონები, აფხაზეთი (2,7).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდთა სკვდილიანობის მხრივ მეტად ცუდი მაჩვენებლები აქვთ აბაშის (10,4 პროც.), ბაშკიჩეთის (8,2), წალკის (7,7), ალბულახის (6,4), ბორჯომის (5,4) და გურჯაანის (5,5) რაიონებს.

მეღორეობის სასაქონლო ფერმები

მოგვყავს შედარება ჩრდილო-კავკასიასთან 1935 წლის 1 ივლისისათვის.

	საქ. სსრ	ჩრდ.-კავკ. მხარე
1. ფერმების რიცხვის ზრდა	109,1	107,5
2. მათში სულადობის	140,9	128,0
3. მათ შორის დედა ღორების რიცხვი	121,6	109,4
4. გოჭები მოიგო	78,0	68,5
5. სიკვდილიანობის პროცენტი	10,9	11,7
6. სულ შემოსავალი	90,0	97,3
7. სულ გასავალი	11,0	18,4

როგორც ვხედავთ, მეღორეობაში საერთოდ საქართველოს კოლმეურნეობანი ჩრდილო - კავკასიასთან შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან. მიუხედავად ამისა, მეღორეობა ჩვენს კოლმეურნეობებში მუშაობის ის დარგია, სადაც ყველაზე არახელსაყრელი მდგომარეობაა, მეტადრე ისეთ რაიონებში, როგორიცაა თიანეთის, სადაც სიკვდილიანობა 1935 წლის 1 ივლისისათვის შეადგენს 29,3 პროცენტს, 1934 წლის 18,9-ის ნაცვლად, საგარეჯოში — 23,7—1934 წლის 14,6-ის ნაცვლად, ლუქსემბურგის — 24,2 სიღნაღის — 18,7—1934 წლის 1,1-ის ნაცვლად, აბაშის—11,6 — 1934 წლის 2,9-ის ნაცვლად და სხვ.

მეცხვარეობის სასაქონლო ფერმები

ჩრდილო - კავკასიას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეცხვარეობაში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვს და ამით იგი წინ მიდის არათუ საქართველოსთან შედარებით, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც. მივმართოთ 1935 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელთა შედარებას პროცენტობით:

	საქ. სსრ	ჩრდ.-კავკ. მხარე
1. ფერმების რიცხვის ზრდა	126,9	135,6
2. სულადობის	148,5	153,7
3. მათში დედაცხვრები	52,7	63,6
4. ბატკნები	120,4	110,0
5. დადოლების პროცენტი	90,8	73,1
6. ნამრავლი 1 დადოლებაზე	1,01	1,7
7. სიკვდილიანობის პროცენტი	3,3	1,4
8. გაყიდვისა და დაკვლის პროცენტი	1,8	1,3

ბატკნების სიკვდილიანობის შეუწყნარებლად მაღალ პროცენტს იძლევიან ახალქალაქის (8,3), ბოგდანოვკის (8,7), საგარეჯოს (6,5), გორის (7,2) და ლუქსემბურგის (5,7) რაიონები.

მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი უნდა იყოს კოლმეურნეთა **უძროხობისათვის ბრძოლა.** ეს მუშაობა საქართველოში რაიონებმა ფართოდ გაშალეს.

საძროხე ხბოების კონტრაქტაციისა და გადაცემის გეგმა, 23 ათასის რაოდენობით, 1 ივლისისათვის შესრულებულია 98,8 პროცენტით, დაკონტრაქტებულია 22.729 სული. მთლიანად რესპუბლიკის ასეთ დიდებით მაჩვენებლებში იფარებიან დანაშაულებრივად ჩამორჩენილი რაიონები, რომლებიც თავიანთი ცუდი მუშაობით დაბლა სწევენ რესპუბლიკანურ მაჩვენებლებს. ასეთია შემდეგი რაიონები: ბორჩალო (შესრულება 36,8 პროც.,), გორი (38,1), ჩხარი (50,0). ამბროლაური (51,0), თიანეთი (53,0). ლუქსემბურგი (60,0). თბილისი (57,4) და სხვ.

ამ რაიონებში კონტრაქტაციის არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობასთან ერთად არიან რაიონები, რომლებიც უმოქმედობას იჩენენ კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან დაკონტრაქტებული მოზარდი პირუტყვისა და სარძეო - სასაქონლო ფერმებიდან გეგმით გათვალისწინებული მოზარდი პირუტყვის გადაცემის საქმეში. ახალქალაქის რაიონმა 140-ის ნაცვლად 72 სული გადასცა, ბოგდანოვკას დღემდე არცერთი სული არ გადაუცია, წალკამ გადასცა 24 სული 70-ის ნაცვლად, ალბულახმა—14 სული 62-ის ნაცვლად, თიანეთის გეგმა 36 სულია, დღემდე ერთი სულიც არ გადაუცია.

ბოლოს, ვნახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს დაგრილების გეგმების შესრულების დარგში, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის სულადობის შემდგომი აღდგენის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. 1934 წელთან შედარებით, ამ დარგშიაც, მუშაობა რა თქმა უნდა გაუმჯობესდა და მაჩვენებლები ბევრად გაიზარდა. ასე, მაგალითად: 1 ივლისისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაგრილების გეგმა შესრულებული გვაქვს 38,8 პროცენტით, 1934 წლის 30,3 პროცენტის ნაცვლად. მაგრამ განა ეს იმის გარანტიას გვაძლევს, რომ წლის მეორე ნახევარში შევასრულებთ გეგმებს, თუ თავგამოდებით არ ვიბრძოლებთ დაგრილების გეგმის 100 პროცენტით შესრულებისათვის?.

მთელი მიზეზი იმაში იფარება, რომ ძველი ტრადიციისამებრ ზოგიერთი რაიონი დაგრილების კამპანიის თვითდინებას ანდობს და სრულებით არ უზრუნველყოფენ მას ჯეროვანი ხელმძღვანელობით.

★

სოცშეჯიბრება და ჩრდილო - კავკასიის მხარესთან მეცხოველეობაზე დადებული ხელშეკრულება ავალებს ყველა რაიონს, მეტადრე იმ ზემოთმოხსენებული რაიონების ხელმძღვანელებს, რომელნიც მეცხოველეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებში ჩამორჩებიან, ახლავე იმგვარად მოაწესრიგონ თავისი მუშაობა, რომ სისტემატურად ჰქონდეთ სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რა შედეგებია მიღწეული მეცხოველეობისათვის ბრძოლით როგორც მთლიანად რაიონში, ისე ცალკეულ კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეების მიერ.

საზაფხულოდან საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის გადაყვანის დროული და წესიერი ორგანიზაციისათვის შემდგომი ბრძოლით, საძოვრებზე მეცხვარეთა უკეთესი ორგანიზაციით, ზამთრისათვის საკვების დროულად დამზადებით, საძოვრებზე ცხვრის პარსვის ჩატარებით, მეცხოველეობის საქმეში გადამწყვეტი კადრების მომზადება - გადამზადებით, მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარების, მშენებლობის და სხვა გეგმების შესრულებით, მეცხოველეობის დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა ყოველდღიური რეალიზაციით, საქართველო უთუოდ გამარჯვებული გამოვა ჩრდილო-კავკასიის მხარესთან შეჯიბრებაში.

მ. სუქიასოვი, შ. ჭელიძე.

აგრ. გ. ბადრიშვილი

საკოლმეურნეო მინდვრებს—ბოლშევიკური წესრიგი

„არტელის მიწები იყოფა მინდვრებად დამტკიცებულ თესლთაბრუნვასთან შეფარდებით. თესლთაბრუნვის მინდვრებზე მემინდვრეობის თვითეულ ბრიგადას მიემაგრება მუდმივი ნაკვეთი თესლთაბრუნვის მთელი ვადით".
(სას.-სამ. არტელის სტალინური წესდებიდან).

საქ. სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 მაისის დადგენილების საფუძველზე, რომელიც მოწონებულია საკავშირო მიწსახკომისა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სას.-სამ. განყოფილების მიერ, გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს რაიონებში სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების ცხოვრებაში გასატარებლად.

საქართველოს 15 რაიონში უკვე 120 მიწისმომწყობი მუშაობს. მიწის მოწყობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სტალინური წესდების საფუძველზე კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება, მტკიცე მიწათსარგებლობისა და თესლთაბრუნვის დაწესება, საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში არსებულ ნაკლთა გამოსწორება და კოლმეურნეობათათვის სამარადამო მიწების სწორად გამოყოფა.

სას.-სამ. არტელის მიწების მოწყობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მხოლოდ მიწების გაზომვას: კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის საჭიროა საკოლმეურნეო მიწების ისე მოწყობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას შრომის წესიერი ორგანიზაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა და მოსავლიანობის გადიდება.

ჩვენს პირობებში, განსაკუთრებით ლაგოდეხის, სიღნაღის, კასპის, გორის და დასავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში, საკოლმეურნეო მიწათსარგებლობას მნიშვნელოვანი დეფექტები ახასიათებს.

დღემდე ზუსტად დადგენილი არ იყო მიწათსარგებლობის საზღვრები. ერთი კოლმეურნეობის მიწები შეჭრილი იყო მეორე კოლმეურნეობის მიწებში, ხოლო ზოგიერთ რაიონში ერთმანეთში იყო შეჭრილი სას. საბჭოების და თვით რაიონების ტერიტორიაში შემავალი მიწები. ხშირი იყო შემთხვევა, როცა კოლმეურნეობის მიწებში შეჭრილი იყო ერთპიროვნულ მეურნეთა მიწებიც.

ისეთი ნაკლი მიწათსარგებლობაში, როგორიცაა: ნაკვეთების დაქუცმაცება—მრავალნაკვეთიანობა, ხარვეზიანობა, მიწების სიშორე კოლმეურნეობიდან ზოგჯერ 20—30 კილომეტრამდე, მიწების უსწორმასწორო კონფიგურაცია, ზედმეტად ვიწრო და გრძელი ნაკვეთები — ყოველივე ეს ხელს უშლიდა მეურნეობის წესიერ ორგანიზაციას, თესლთაბრუნვის შემოწმებას, მსხვილი სას.-სამ. მანქანების გამოყენებას და კოლექტიური შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საკოლმეურნეო მიწების მოწყობით უნდა მოვსპოთ ყველა ეს ნაკლი.

ამასთან კოლმეურნეობის ტერიტორია უნდა დაიგეგმოს, მთელი სახნავი ფართობი დამტკიცებულ თესლთაბრუნვის მინდვრებად უნდა დაიყოს. სხვადასხვა კულტურათა თესვა შემდეგში უნდა ჩატარდეს მორიგეობით, დაწესებულ თესლთაბრუნვის მიხედვით.

ამჟამად მთავარი ამოცანაა საშემოდგომო თესვის დაწყებამდე დამთავრდეს კოლმეურნეობათა მიწების მოწყობა, რომ კოლმეურნეობებმა მიმდინარე წლიდანვე შესძლონ ცალკე კულტურების დათესვა თესლთაბრუნვის მინდვრების მიხედვით.

მიწების საზღვრები ბოძებით უნდა დაიყორონ და კოლმეურნეობას ჩაბარდეს მიწათსარგებლობის გეგმა სახელმწიფო აქტით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი.

თესლთაბრუნვის მინდვრებად დაყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თესლთაბრუნვის შემოღებას.

თესლთაბრუნვის ნამდვილად დანერგვისათვის საჭიროა კოლმეურნეობაში კულტურების თესვა შემოდგომიდანვე ჩატარდეს. მაშასადამე, როგორც მიმდინარე წლის საშემოდგომო, ისე მომავალი წლის საგაზაფხულო თესვის გეგმები შეფარდებული უნდა იქნეს კოლმეურნეობისათვის დამტკიცებულ თესლთაბრუნვებთან.

რაიმიწგანებისა და მტს-ბის უყურადღებობის შედეგად მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეშად არღვევენ დაწესებულ თესლთაბრუნვებს. მაგ., კასპის რაიონის 27 კოლმეურნეობიდან, სადაც თესლთაბრუნვება ჯერ კიდევ 1933-34 წლებში იყო დაწესებული, 17 კოლმეურნეობაში არავითარი თესლთაბრუნვა არ არსებობს; გურჯაანის რაიონის 23 კოლმეურნეობიდან თესლთაბრუნვა დარღვეულია 11 კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობებში სუსტად ხელმძღვანელობენ თესლთაბრუნვის დანერგვას ტფილისის, საგარეჯოს და ახალქალაქის რაიონებშიც. გორის რაიონში ჯერაც არ შეუმოწმებიათ კოლმეურნეობებში შემოღებული თესლთაბრუნვების მდგომარეობა. სამიწათმოქმედო ორგანოთა მუშაკები აქ ქაღალდზე დადგენილი თესლთაბრუნვებით კმაყოფილდებიან.

წელს მიწის მოწყობის პირველი რიგის რაიონებში აღმოსავლეთ საქართველოდან შეტანილია ლაგოდეხი, სიღნაღი, ყარაია, ბორჩალო, გორი და ხაშური. ამ რაიონების ყველა კოლმეურნეობაში წელსვე უნდა დამთავრდეს თესლთაბრუნვის შემოღება. ყველა საამისო პირობები უკვე არსებობს.

სამიწათმოქმედო ორგანოებმა, რაიმიწგანებმა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა კოლმეურნეობების მიწათსარგებლობაში არსებული ნაკლის გამოსასწორებლად და მათ მიწაზე ბოლშევიკური წესრიგის დასამყარებლად უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები.

ჩაის კრეფის მექანიზაცია

ინჟ. შარკოვსკის გამოგონება

ჩაის მეურნეობებში ამჟამად დაყენებულია ცდები ჩაის კრეფის მექანიზაციის შემოსაღებად. ჩაის საკრეფი უკანასკნელი კონსტრუქციის მანქანებს (ამხ. გიგიბერიას და ტიტოვის კონსტრუქციის საკრეფი მანქანები) ის უარყოფითი თვისება აქვთ, რომ ძველსა და ახალ ფოთოლს ერთბაშად ჰკრეფენ.

ინჟ. შარკოვსკიმ შეიმუშავა უკვე მოკრეფილი ნედლი ჩაის ფოთლის დახარისხების ახალი საშუალება. მან მოაწყო მანქანა,რომელიც ნაკრეფ ფოთოლს სწრაფად ახარისხებს და ცალ-ცალკე უყრის თავს.

აღნიშნული გამოგონების განსახორციელებლად და სათანადო ცდების ჩასატარებლად გადადებულია 27.000 მან. თუ ამ გამოგონებამ გაიმართლა, ყოველწლიურად ეკონომია რამოდენიმე მილიონ მანეთს მიაღწევს.

პარტიულ თემაზე

პარტორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლას

მეორე მეცადინეობა უფრო მომზადებულად ჩატარდა

(კიროვის რაიონი)

კიროვის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მეორე თემა საუკეთესოდ ჩატარდა. რაიონის 180 პოლიტსკოლაში მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება 98 პროცენტს უდრიდა. პროპაგანდისტები ყველა სკოლებში დაუგვიანებლივ და მომზადებულად გამოცხადდნენ. მსმენელებმა მეორე თემა კარგად დაამუშავეს.

ეს მიღწევები შემთხვევითი როდია. ეს პირდაპირი შედეგია რაიონული კომიტეტის ენერგიული მუშაობისა.

19 აგვისტოს „მკერავის" № 2 ფაბრიკასთან არსებულ პარტორგანიზაციის პარტისტორიის შემსწავლელ ერთერთ წრეში ჩატარდა ამხ. სეფის საჩვენებელი მეცადინეობა, რომელსაც დაესწრნენ რაიონის პროპაგანდისტები. მეცადინეობა წარმატებით ჩატარდა. პროპაგანდისტმა გერასიმოვმა განაცხადა, რომ მსგავსი მოხსენებების მოწყობა კარგი იქნება ამხ. ბერიას მოხსენების მეორე ნაწილის დასამუშავებლადაც, რომელშიაც საინტერესო და საპასუხისმგებლო საკითხებია გაშუქებული. რაიონულ კომიტეტს ვთხოვთ ასეთ მეცადინეობებს სისტემატური ხასიათი მისცენო.

ამასთან ერთად, მეორე მეცადინეობამდე 5 დღით ადრე რაიკომმა ყველა წარმოება - დაწესებულების პარტიულ ორგანიზაციებში შეაგროვა კითხვები ამხ. ბერიას მოხსენების ირგვლივ. 20 აგვისტოს, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ჩატარდა მასობრივი კონსულტაციები შემოსული შეკითხვების განსამარტავად. კონსულტაციებს ესწრებოდნენ პარტიის წევრები, კომკავშირელები და უპარტიოები.

„მკერავის" № 6 ფაბრიკაში კონსულტაცია ჩაატარა რაიკომის კულტპროპმა ამხ. მაჩაიძემ. მეცადინეობაზე გარკვეულ იქნა მენშევიკებთან და სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის საკითხები ამიერ-კავკასიაში.

სამკერვალო ფაბრიკების მუშებმა — ამხ. სეფერიანმა და გობრიცოვმა განაცხადეს, რომ კონსულტაციამ ამხ. ბერიას მოხსენების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის გასაღები მოგვცაო. 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე შესდგა პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი, სადაც მწვავედ გაკრიტიკებულ იქნა ცალკე ორგანიზაციებთან (აბანოების ტრესტი, არტელი „წითელ მტვირთავი" და სხვ.) არსებული პოლიტსკოლების პირველი მეცადინეობისას შემჩნეული დეფექტები.

ყველაფერმა ამან სათანადო შედეგი გამოიღო. 21 აგვისტოს რაიონის ყველა პოლიტსკოლა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მეცადინეობას. აბანოების ტრესტის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტწრეში პირველი მეცადინეობა ჩაიშალა პროპაგანდისტის დაუდევრობით, ხოლო მეორე მეცადინეობაზე, რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის მეოხებით, მსმენელები უკლებლივ მომზადებულად გამოცხადდნენ და პროპაგანდისტიც დროზე მოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ აქ მეცადინეობა წარმატებით ჩატარდა. ასევე წარმატებით ჩატარდა მეცადინეობა „მკერავის" № 2 ფაბრიკის პარტისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ სომხურ წრეში (პროპაგანდისტი მისილტოვა) და ლარებკომის პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი კოჩიაკოვა), სადაც პირველი მეცადინეობა პროპაგანდისტების დაუდევრობით ცუდად ჩატარდა.

ტერ. ნაროუშვილი.

ბოლშევიკური გამობრძმედილობის დასაყრდენი

მახარაძის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია დროზე შეუდგა ამხ. ბერიას მოხსენების — „ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" შესწავლას. ზემდგომი პარტიული ორგანოების — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მახარაძის რაიონული კომიტეტის დირექტივების თანახმად, ჩაის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გაჩაღა მოსამზადებელი მუშაობა.

უწინარეს ყოვლისა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზატორების თათბირზე გავეცანით ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავებისა და შესწავლის წესსა და ორგანიზაციას.

ყველა პარტიული ძალები გავანაწილეთ საამქროებსა და ჯგუფებში, გამოვყავით გაზეთების ხმამაღლა მკითხველები მომზადებულ ამხანაგებიდან, რომლებსაც გაეწია სათანადო ინსტრუქტაჟი. მკითხველებად გამოყოფილი არიან ამხანაგები: ჯიბუტი, მეგრელიშვილი, სიმვულიდი, ლორია, გუჯაბიძე, ბარამიძე, გიორგობიანი და ჩაგუნავა, რომლებმაც ინსტრუქტაჟის მიღების დღიდან, ე. ი. 7 აგვისტოდან გააჩაღეს მუშაობა.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეუდგნენ ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლას. სულ დამუშავებულია მოხსენების პირველი და მეორე თავი; მეცადინეობა შეუწყვეტლივ გრძელდება.

დღიდან მუშაობის გაჩაღებისა მოწინავეებად ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლის საქმეში ითვლებიან შემდეგი ამხანაგები: მენაბდე, ლორია, ხარჯველაძე, ვაშალომიძე, გუჯაბიძე, სიხარულიძე, ელისო დარჩია, გაგუა, ფოჩხიძე, მარო მექვაბიშვილი, კვაშალი, ჰუნია, გაბელაია, მალოვა, ბოგომოლოვა, ბელსკაია, ზარანდია, სამოილენკო და სხვ.

ამოცანა ის არის, რომ სათანადო ხარისხობრივი მაჩვენებლებით შევისწავლოთ ამხ. ბერიას მოხსენება და გავხადოთ იგი ჩვენი ბოლშევიკების, პარტიულებისა და უპარტიოების, ბოლშევიკური გამობრძმედილობის დასაყრდენად.

ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავებისა და შესწავლის დამთავრების შემდეგ პარტორგანიზაცია ფიქრობს დამატებით გააცნოს პარტიულებსა და კომკავშირელებს ამხ. წულუკიძის სტატიები პოლიტიკურ ეკონომიაზე „საუბარი მკითხველებთან", აგრეთვე გააცნოს ამხ. სტალინის ისტორიული საბუთები „წერილი კავკასიიდან", „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე" და „ანარქიზმი თუ სოციალიზმი".

ამ ისტორიული საბუთების შესწავლით ჩვენ უეჭველად გავამდიდრებთ ჩვენს ბოლშევიკების ცოდნას, გავაცნობთ ყველას, თუ როგორ იბრძოდა და ყალიბდებოდა ჩვენი საყვარელი ბელადი ამხ. სტალინი, ბურჟუაზიის აგენტების — მენშევიკების წინააღმდეგ, ანარქისტების და ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯურის ლაქიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მახარაძის ჩაის ფაბრიკის
პარტკომის მდივანი
სიხარულიძე.

არ ჩამოვრჩეთ მოწინავეებს

ტრამვაის მეურნეობის პარტისტორიის შემსწავლელ ერთერთ სკოლაში, რომელსაც პროპაგანდისტი პარტახია ხელმძღვანელობს, ირიცხება 35 მსმენელი, აქედან 21 აგვისტოს მეცადინეობაზე არ გამოცხადდნენ ამხ. ადეიშვილი, კუნჭულია, ხავთასი, ბერძიშვილი, ოსიძე.

სკოლა მეცადინეობს ორ წყებად. საღამოს 7 საათზე შეიკრიბა მეორე წყება. 15 კაცის მაგიერ გამოცხადდა 12. დღეს უნდა დამუშავდეს ამხ. ბერიას მოხსენების მეორე თავი, აგრეთვე გამეორებულ უნდა იქნას პირველ მეცადინეობაზე შესწავლილი მასალა.

— ამხანაგებო, რამდენს გაქვთ ლიტერატურა?

ირკვევა, რომ გაზეთების სრული კომპლექტი, სადაც დაბეჭდილია ამხ. ბერიას მოხსენება მხოლოდ ორ კაცს აქვს, ორს აქვს არასრული კომპლექტი, დანარჩენებს კი სრულებით არა აქვთ.

პარტიის წევრმა თურმანიძემ განაცხადა:

— „კომუნისტი" გამოწერილი მაქვს და ვინახავ.

მეცადინეობაზე კი ირკვევა, რომ ამხ. თურმანიძეს არ დაუმუშავებია და არ შეუსწავლია საჭირო მასალა.

მაგრამ თურმანიძე გამონაკლისს არ შეადგენს. ძალიან სუსტად და არასწორად, ან სრულებით ვერ უპასუხებენ შეკითხვებზე ამხ. სოდომონოვი, ამაშუკელი, ნერსესოვი და გოგელია.

სკოლას ჰყავს საკმაოდ მომზადებული აქტივიც. ესენი არიან ანთიძე, ტორჩინავა, ხასიევი და სხვ. ანთიძეს აქვს 33 წლის საწარმოო სტაჟი, ტორჩინავას 32 წლის. მათ მოიგონეს ამხ. სტალინის და კეცხოველის რევოლუციური მოღვაწეობა ტფილისში, გაფიცვები შემკეთებელ ქარხანაში, ტრამვაის მუშებს შორის, დიდი დემონსტრაციები და სხვ.

ინტერესით ჩატარდა ამხ. ბერიას მოხსენების მეორე ნაწილის შესწავლა. სკოლის მსმენელები გზადაგზა მრავალ შეკითხვას იძლეოდნენ, იგონებდნენ რევოლუციურ ბრძოლებს მესამე ყრილობის მოწვევის პერიოდში.

ჩამორჩენილი ამხანაგები უნდა დაეწიონ წინწასულებს. ამაში მათ უნდა დაეხმარონ პარტკაბინეტი, სკოლის ხელმძღვანელი და უფრო მომზადებული ამხანაგები.

მ. გვასალია.

სავაჭრო ქსელის მუშაკთა ხელფასის გარდაქმნისათვის

სასაქონლო რესურსების წარმოუდგენელმა ზრდამ შექმნა მატერიალური საფუძვლები საქონლის ბრუნვის გაფართოებისათვის.

მარტო საკავშირო მრეწველობისაგან წელს საქართველო მიიღებს ორჯერ მეტ დაგეგმარებულ სამრეწველო საქონელს, ვიდრე მიიღო ამ სამი წლის წინად. თუ ამას მივუმატებთ ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის და სოფლის მეურნეობის რამდენიმეჯერ გადიდებულ სასაქონლო პროდუქციას, მივიღებთ განსაზოგადოებული ვაჭრობის საცალო ბრუნვის ზრდის განსაცვიფრებელ სურათს. თუ 1930 წელს საცალო ბრუნვა საქართველოში შეადგენდა 362 მილიონ მანეთს, წელს იგი მიაღწევს ერთ მილიარდ ექვსას ორმოცდაათ მილიონ მანეთს. ამისდამიხედვით გაიზარდა სავაჭრო ქსელი. თუ 1930 წლის დასასრულს საქართველოში იყო 3.608 სავაჭრო წერტი, მიმდინარე წელს მათი რაოდენობა 6.770-ს გადაშორდება. უკანასკნელ თვეებში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქსელის გაცხოველებული გაფართოება როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ახლა, როცა ფართოდ არის გაშლილი ღია (არა-დახურული) ვაჭრობა, აუცილებელი ხდება სულ სხვაგვარი მიდგომა მომხმარებლებისადმი, ვიდრე მაშინ, როცა საქონელი, განსაკუთრებული ლიმიტების მიუღებლადაც, საღდებოდა. ახლა საჭირო ხდება მომხმარებლის მიზიდვა. მისთვის საქონლის შეთავაზება და დახმარების გაწევა შესაძენი საქონლის არჩევაში. საჭირო ხდება მისი მოთხოვნილების შესწავლა და მომხმარებლისადმი სათუთი მოპყრობა. ამიტომ საკითხს უკვე მარტო ასორტიმენტის მრავალფეროვნება, სავაჭროების კულტურულად მოწყობა როდი სწყვეტს. საცალო ვაჭრობის დარგშიაც მთავარია კადრები, რომელნიც კულტურული ვაჭრობის ტექნიკას დაეუფლებიან. ახლა ძირითადი ამოცანაა — ჩვენი განსაზოგადოებული ვაჭრობის ყველა რგოლში მუშაობდეს საქმის მცოდნე, კულტურული ვაჭრობის მცოდნე ადამიანი.

ამ ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად სსრკ-ის სახკომსაბჭოს 5 ივლისის დადგენილება განსაზოგადოებულ ვაჭრობის საწარმოებში ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ. ამ დადგენილების ძალით, ხდება სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის გაცემის სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა. უკანასკნელ დრომდე დახლის მუშაკებს ხელფასი ეძლეოდათ იმისდამიუხედავად, თუ როგორი იყო მათი მუშაობის ხარისხი. ეს ჰქმნიდა გათანაბრებას, გაუპიროვნებას და იწვევდა დახლის კვალიფიკაციურ მუშაკთა დენადობას. პირველ აგვისტოდან გათანაბრებას და ამით გამოწვეულ საცალო ვაჭრობის შემაფერხებელ მიზეზებს ბოლო ეღება. პირველ აგვისტოდან სავაჭრო ქსელის თითქმის ყოველი რგოლის მუშაკი ხელფასს მიიღებს განსაზღვრული პროცენტის სახით, რომელიც გამოიანგარიშება სავაჭრო ბრუნვის პირველი ათასი მანეთიდან. წესდება მაღაზიის გამგეთა და გამყიდველთა შრომის პროგრესიული ანაზღაურება იმ შემთხვევისათვის, როცა სავაჭრო საფინანსო გეგმას სავაჭრო წერტი გადაჭარბებით შეასრულებს. სავაჭრო ქსელის მუშაკებს ხელფასი მიეცემათ არა მარტო მათი მუშაობის ხასიათის და მოცულობის მიხედვით, არამედ კვალიფიკაციისა და სტაჟის მიხედვით. მრავალწლიანი სტაჟის მქონე, გამოცდილი გამყიდველი მიიღებს 50—70 პროცენტით მეტს, ვიდრე დახლის ახალგაზრდა გამოუცდელი მუშაკი. იქმნება სპეციალური საპრემიო ფონდები იმ მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომელნიც თავს ისახელებენ მომხმარებელთა კულტურული მომსახურებით, მომჭირნეობით, საქონლის წესიერი შენახვით მრავალფეროვანი ასორტიმენტის მომარაგებით და სხვა. დაჯილდოება, რომელსაც საფუძვლად დაედება გამყიდველის მუშაობის ხარისხი, მოხდება სისტემატურად, ყოველი თვის დასასრულს და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე.

ხელფასის ახალი ფორმა დახლის მუშაკთა მთელი კოლექტივის კონტროლ ქვეშ აყენებს მაღაზიის გამგის და ამ კოლექტივის თვითეულ წევრის მუშაობას, რადგან ამ მუშაობაზე ხდება დამოკიდებული სავაჭრო ბრუნვის და მაშასადამე ხელფასის ზრდაც.

საქართველოს დახლის მუშაკთა ძირითადი მასა დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთავრობის ზემოხსენებულ დადგენილებას; ამას მოწმობს ამ მასის აქტივობა კრებებზე, რომლებიც წინ უძღვის კოლხელშეკრულების დადებას. ეს კამპანია ჩვენში გაჭიანურდა და გადასცილდა მისი დამთავრების ვადას — 15 აგვისტოს. ეს იმითაც აიხსნება, რომ სათანადო პროფკავშირები საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ, დიდი დროით მოანდომეს მოსამზადებელ მუშაობას; სამაგიეროდ ამას თავისი დადებითი შედეგები მოჰყვა: დახლის მუშაკთა კრებები საფუძვლიანად ამუშავებენ კოლხელშეკრულებებს, დეტალურად არჩევენ მათ, შეაქვთ მასში მნიშვნელოვანი შესწორებები და დამატებანი, რომელნიც შეეხებიან შრომის დაცვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ტექსწავლების ორგანიზაციას და სხვ. მათი ყურადღების ცენტრში დგას მომხმარებელთა კულტურული მომსახურეობა. მრავალი საგულისხმო წინადადებაა შეტანილი მის მოსაწესრიგებლად. მაგრამ ყველგან როდი მიმდინარეობს კრებები, ისე სერიოზულობით, როგორც ამას საბჭოთა ვაჭრობის და მის მუშაკთა ინტერესი მოითხოვს. აქა-იქ კოლხელშეკრულების დადებას ეკიდებიან ფორმალურად, კმაყოფილდებიან რა მხოლოდ ტექსტის მოსმენით. ზოგ პროფმუშაკს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ახალი კოლხელშეკრულება მთელს გარდატეხას ახდენს დახლის მუშაკთა საქმიანობასა და ნივთიერ, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში; რომ მას საფუძვლად უდევს ამხ. სტალინის მითითება კადრებისადმი სათუთი და მზრუნველობითი მოპყრობის შესახებ.

სათანადო ახსნა - განმარტებისა და წინასწარი მუშაობის ჩაუტარებლობის გამო დახლის ზოგიერთ მუშაკი საკმაოდ ვერ ითვალისწინებს ხელფასის ახალი სისტემის მნიშვნელობას.

ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. კოლხელშეკრულების დადების შემდეგაც, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და პროფმუშაკებმა უნდა განავრცონ მუშაობა ხელფასის ახალი ფორმის პოპულარიზაციისათვის, მთელი მასა ნამდვილად დაირაზმოს მთელი მასა ნამდვილად დაირაზმოს მომხმარებლების კულტურული მომსახურებისა და საბჭოთა ვაჭრობის რენტაბელობისათვის საბრძოლველად.

ვ. წ—ძე.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი

მეცნიერებათა აკადემიის წევრი
—კორესპონდენტი

ახალი მათემატიკური ცენტრი ტფილისში

ის, რომ მათემატიკა უდიდეს როლს ასრულებს ტექნიკაში, ბუნების მეტყველებაში და მეცნიერების მრავალ სხვა დარგში, ყველამ იცის. შეიძლება კიდეც ითქვას, რომ არა მათემატიკოსები ზოგჯერ გაზვიადებული წარმოდგენის არიან ამ როლზე და მოელიან მათემატიკისაგან ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც სრულიად არ შედის მის კომპეტენციაში. მაგრამ მაინც სრულიად უდავოა, რომ მათემატიკას აქვს ძირითადი მნიშვნელობა ზემოდ დასახელებულ დარგებში. მაგალითად, თანამედროვე ტექნიკაში არც ერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება, თუ არ გამოვიყენეთ მათემატიკური ფორმულები და მეთოდები. ყველაფერი, დაწყებული ოპტიკურ სათუთ იარაღებით და გათავებული უზარმაზარი შენობებით, გემებით, სამხედრო მძლავრი იარაღებით, მოითხოვს თავის აგებისათვის ზუსტ მათემატიკურ გამოანგარიშებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ქვეყნებში, სადაც ვითარდება ტექნიკა, მათემატიკის განვითარებასაც დიდ ყურადღებას აქცევენ. განსაკუთრებით დიდ მზრუნველობით სარგებლობს ამ მხრივ მათემატიკა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ტექნიკისა და აღმშენებლობის მძლავრ განვითარებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენში მათემატიკას უყურებენ მხოლოდ უშუალო პრაქტიკულ გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ვიწრო უტილიტარიზმი ამ საკითხში ხელს შეუშლიდა მათემატიკის განვითარებას როგორც ეს, მაგალითად, მოხდა ამერიკაში, სადაც აქამდე თითქმის ყველა საუკეთესო მათემატიკოსები და თეორეტიკოსი ინჟინრები — უცხოელებია*). ჩვენ კარგათ ვიცით აგრეთვე, რომ მათემატიკას აქვს დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა და მის ამ მხარესაც სათანადო ყურადღება ექცევა.

დავუბრუნდეთ მაინც მათემატიკის მნიშვნელობას ტექნიკისათვის და აღმშენებლობისათვის საზოგადოდ. ობიექტიური ნიშანი იმისა, თუ რამდენად დიდია ეს მნიშვნელობა, კერძოდ ის არის, რომ თითქოს ყოველ ტექნიკურ დაწესებულებაში, სადაც კი წარმოებს შემოქმედებითი მუშაობა, არსებობს ეგრედწოდებული თეორიული განყოფილებანი, სადაც უმთავრესად მუშაობენ მათემატიკოსები, მაგალითად მოსკოვის ცენტრალურ ჰაერო - ჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში (ЦАГИ) მუშაობს ათზე მეტი გამოჩენილი მათემატიკოსი, მათ შორის ერთი აკადემიკოსი ჩაპლიგინი და სამი წევრი - კორესპონდენტი საკავშირო აკადემიისა.

მათემატიკის მძლავრი და სწრაფი განვითარების გამო ინდივიდუალური მუშაობა ძალიან ძნელია. ცალკე მეცნიერს არ შეუძლია თვალყური ადევნოს ყველა მიღწევას თავის სპეციალობაში, გარდა ერთი გარკვეული ვიწრო დარგისა; მისთვის აუცილებელია აზრთა ცხოველი გაცვლა გამოცვლა თავის კოლეგებთან, რომელნიც მუშაობენ მოსაზღვრე დარგებში. ამას გარდა, ზოგი საკითხები (განსაკუთრებით პრაქტიკულ ხასიათისა) მოითხოვს რამდენიმე პირის ერთდროულ მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობით. მაგალითად, იმისათვის, რომ მათემატიკის ესა თუ ის მიღწევა პრაქტიკულ დარგში ხელმისაწვდომი გახდეს საშუალო ინჟინერებისათვის, საჭიროა პრაქტიკული ფორმულების შედგენა, ცხრილებისა და ნახაზების აგება და სხვა, რაც მოითხოვს ხანგრძლივ და მძიმე მუშაობას. წამყვანი მეცნიერ - მათემატიკოსი უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდება ზოგადი ფორმულით ან დებულების გამოყვანით, რომელსაც პრაქტიკოსი ინჟინერი უშუალოდ ვერ გამოიყენებს და, ზოგჯერ, ვერც კი გაიგებს. თუ შესრულებული არ არის ზემოხსენებული „შავი" მუშაობა მაშინ ფორმულა ან დებულება პრაქტიკულად დაკარგულია ტექნიკისათვის ძალიან სასარგებლოც რომ იყოს თავისი შინაარსით. თავის მხრივ, მათემატიკოსებს არ შეუძლიათ თითონ დასვან და სათანადოთ დაამუშაონ პრაქტიკული საკითხები, თუ მათ არ ეხმარებიან თეორიულად მომზადებული ინჟინერები ან საზოგადოთ ტექნიკოსებით. ურთიერთ დახმარება აქ უფრო საჭიროა, ვიდრე სხვაგან.

აქედან აშკარაა, თუ რამდენათ საჭიროა მათემატიკური მუშაობის დაგეგმიანება და „კოლექტივიზაცია".

მხოლოდ საბჭოთა კავშირში მოიპოვა ამ საკითხმა შესაფერი ყურადღება ხელმძღვანელი ორგანიზაციებისა, რომლებმაც მიანიჭეს მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. აშკარად უნდა ითქვას ისიც, რომ ამ წამოწყების დიდი მნიშვნელობა არ იყო თავიდანვე სათანადოდ შეფასებული მრავალი მეცნიერის მიერ, რადგანაც მაშინ არაფერი მსგავსი არ არსებობდა სხვა ქვეყნებში, ამ გარემოებამ და აგრეთვე გამოცდილების უქონლობამ ცოტათი შეაფერხა დასაწყისში აღნიშნული მნიშვნელოვანი საქმის შესაფერი განვითარება, მაგრამ პრაქტიკამ მალე დაანახა ყველას, რომ მუშაობის ახალ წესს მოაქვს შეუდარებელი ნაყოფი.

საბჭოთა კავშირში, მათემატიკურ მუშაობას აერთიანებენ და გეგმავენ საკვლევაძიებო მათემატიკური ინსტიტუტები, რომლებიც დაარსებულია სხვა და სხვა ქალაქებში სხვა და სხვა დაწესებულებებთან. ყველაზე დიდი მათ შორის არის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ინსტიტუტი მოსკოვში, რომელსაც აქვს წამყვანი მნიშვნელობა. ეს ინსტიტუტი გამოიყო შარშან აკადემიის ფიზიკო - მათემატიკურ საკვლევაძიებო ინსტიტუტისაგან, აკადემიის მოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით. ამნაირად, ინსტიტუტი მისი დღევანდელი სახით, არსებობს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მაგრამ ის უკვე ფართოდ ცნობილია მთელ მსოფლიოში, არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ბურჟუაზიულ ქვეყნების მათემატიკოსები სცნობენ, რომ ეს ინსტიტუტი არის ერთი პირველთაგანი თავისი შემადგენლობითა და პროდუქციის მხრივ. მას შეიძლება შეედაროს მხოლოდ ერთი ფიზიკო-მათემატიკურ ინსტიტუტი ამერიკაში (პრინცეტონში), სადაც მოწვეულია გამოჩენილი მეცნიერები ყველა ქვეყნებიდან, მათ შორის: ა. ეინშტეინი, რ. კურანტი, ჰ. ვეილი და სხვ.

მოსკოვის ინსტიტუტის ერთერთი მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი მხარე ის არის, რომ მის შემადგენლობაში შედის ბევრი სულ ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებმაც საკმაოდ ისახელეს თავი შესანიშნავი გამოკვლევებით და რომელთაგან კიდევ უფრო მეტს მოველით მომავალში. თანამშრომლების მოწვევის დროს აქ მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ წარსულ დამსახურებას, არამედ, უმთავრესად, მათი მომავალი მუშაობის პერსპექტივებს.

მე ცოტახნით შევჩერდები ამ ინსტიტუტის მუშაობის ფრიად საინტერესო წესზე; შევეცდები, გავაშუქო, თუ როგორ არის გაგებული კოლექტიური მუშაობა — ცნება, რომელიც ხშირად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი.

პერიოდიულად (არა ხშირად, წელიწადში 3—4 ჯერ) ხდება საერთო კრებები, სადაც თანამშრომლები იძლევიან ძალიან მოკლე ინფორმაციას მათ მიერ ან მათი ხელმძღვანელობით შესრულებულ მუშაობის შესახებ. ამავე კრებებზე ხდება მომავალი მუშაობის დაგეგმვა. სამუშაო თემების დასახვის დროს უდიდესი ანგარიში ეწევა თანამშრომლის პირად მიდრეკილებას და სურვილს. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან სხვანაირად ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა შეუძლებელია. თანამშრომლები ერთდებიან (აგრეთვე მათივე სურვილის მიხედვით) ჯგუფებად რომელნიც მუშაობენ ან საერთო ან დაახლოვებულ საკითხებზე. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ჯგუფი ზის ერთსა და იმავე დარბაზში და ერთდროულად მუშაობს; პირიქით, ყოველ თანამშრომელს აქვს ცალკე კარგად მოწყობილი ოთახი, რომელიც იკეტება შიგნიდან ინგლისურ კლიტეზე. თანამშრომელს დასჭირდება მოლაპარაკება სხვა თანამშრომელთან, ის მიდის მის ოთახში ან იწვევს თავის ოთახში ერთ ან რამდენიმე კოლეგას. ვისაც სურს, ის აცხადებს იმ საათებს, როცა შეიძლება მის ოთახში შესვლა, ასე რომ დანარჩენ დროს ის უზრუნველყოფილია მუშაობიდან მოწყვეტისაგან. რა თქმა უნდა, იმართება სხვადასხვა სემინარები, რომელთაც ხელმძღვანელობენ წამყვანი მეცნიერები, სემინარში მონაწილეობას იღებენ თანამშრომლები, რომლებსაც აინტერესებს აღებული საკითხი. დასწრება არავისათვის სავალდებულო არ არის. დაახლოვებით იმნაირივე თავისუფლებით სარგებლობენ ასპირანტები—დოქტორანტები. ასეთი სისტემა დამყარებულია სრულ ნდობაზე მეცნიერი თანამშრომლების მიმართ; სამაგიეროთ თანამშრომლების მოწვევის დროს ინსტიტუტი დიდ სიფრთხილეს იჩენს და ყოველი კანდიდატურა გულდასმით არის აწონდაწონილი. ისიც უნდა ითქვას, რომ კონტროლს, მაინცდამაინც ვერავინ ასცილდება. მუშაობის ნამდვილი და ობიექტიური კრიტერიუმი არის თანამშრომლების პროდუქცია, რომელიც გამოიხატება დაბეჭდილი შრომებით.

ავღნიშნოთ კიდევ, რომ ყოველ თანამშრომელს აქვს საშუალება ხელზე მიიღოს მისთვის საჭირო წიგნი ან ჟურნალი არა მხოლოდ ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან, არამედ მოსკოვის და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკებიდან, ანდა მოსკოვის ყოველ სხვა ბიბლიოთეკიდან.

საბჭოთა საქართველოს მათემატიკოსების მუშაობა მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკავშირო აკადემიის მუშაობასთან. ჩვენ ვუგზავნიდით იქ ახალგაზრდა ნიჭიერ მათემატიკოსებს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად (პირველი გაგზავნილი იყო ვ. კუპრაძე, ამჟამად პროფესორი და სწავლული მდივანი მოხსენებული ინსტიტუტისა). თავის მხრივ ზოგი ჩვენი სპეციალისტი უწევდა ხელმძღვანელობას აკადემიის ასპირანტებს თავის სპეციალობაში. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ ამჟამად მოსკოვის მათემატიკურ ინსტიტუტში 40 თანამშრომლიდან 5 თანამშრომელი საქართველოდან არის.

ასეთმა კავშირმა დიდი ნაყოფი მოგვცა: დღეს ჩვენ გვყავს ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ახალგაზრდა მათემატიკოსებისა, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ. მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობაზე (ლენინგრადი, 1935 წ.) ეს ჯგუფი შეუმჩნეველი არ დარჩა. რაც გამოიხატა ყრილობის რეზოლუციაში, სადაც კმაყოფილებით აღნიშნულია ახალი მათემატიკური ცენტრის შექმნა ტფილისში.

ტფილისის მათემატიკური სკოლა მუშაობს, უმთავრესად, გამოყენებით მათემატიკის დარგში (დრეკადობის თეორია, მათემატიკური ფიზიკა) მაგრამ ცალკე მათემატიკოსები მუშაობენ სხვა დარგებშიც.

რომ დავახასიათოთ ჩვენი მათემატიკოსების პროდუქცია, ავღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ 1934-35 წლის განმავლობაში მათ მიერ გამოქვეყნებული იყო დაახლოვებით 25 შრომა, მათ შორის 3 სადოქტორო, დისერტაცია სახელდობრ ლ. გოკიელის დისერტაცია (ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა), ვ. კუპრაძის დისერტაცია (რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა), შ. მიქელაძის დისერტაცია (იბეჭდება საკავშირო აკადემიის გამომცემლობაში). ლ. გოკიელმა და ვ. კუპრაძემ უკვე ბრწყინვალედ დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები (პირველმა ტფილისში, მეორემ — მოსკოვში); შ. მიქელაძეს დისერტაციის დაცვა მოხდება ა. წ. სექტემბერში (ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს აკად. ა. კრილოვის ბრწყინვალე დახასიათება მიქელაძის სადისერტაციო შრომისა).

ამასგარდა სექტემბერშივე მოხდება ორი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა (ა. გორგიძე, ი. მჟავარიშვილი). ორმა ახალგაზრდა მათემატიკოსმა კი (დ. თოიძე, ვ. გოგოლაძე) დაიცვეს უკვე საკანდიდატო დისერტაციები მოსკოვის მათემატიკურ ინსტიტუტში.

მათემატიკის განვითარებას ჩვენში მაინც ძალიან უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ტფილისში არ არსებობდა კარგად მოწყობილი და ნივთიერათ საკმაოდ უზრუნველყოფილი მათემატიკური ინსტიტუტი. ამის გამო, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მათემატიკოსი, რომელიც ამჟამად იმყოფება მოსკოვსა და ლენინგრადში, ერიდება ტფილისში ჩამოსვლას.

მაგრამ ჩვენ ახლა გვაქვს სრული საშუალება საფუძვლიანად შევცვალოთ ეს მდგომარეობა.

საქმე ის არის, რომ საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო მათემატიკის ინსტიტუტის დაარსება ტფილისში, საქართველოს ფილიალის სისტემაში. პრეზიდიუმის ეს დადგენილება ფრიად საამაყოა ჩვენთვის, რადგანაც ამით მან ოფიციალურად შეაფასა ტფილისის მათემატიკური სკოლის ღირსებულება; უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ გარდა მოსკოვის ინსტიტუტისა, აკადემიის სისტემაში აქამდე არ არსებობდა არცერთი სხვა მათემატიკური ინსტიტუტი; ამ მხრივ მხოლოდ ჩვენი ფილიალი წარმოადგენს გამონაკლისს.

ჩვენ ვაპირებთ ინსტიტუტი ფართო მასშტაბით გავშალოთ; რამდენიმე გამოჩენილმა მათემატიკოსმა (მათ შორის აკადემიკოსმა ბერნშტეინმა) გამოაცხადა ტფილისში სისტემატიური მუშაობის სურვილი. ამნაირად ჩვენ გვაქვს საშუალება სათანადოდ დავაყენოთ ჩვენს ინსტიტუტში მათემატიკის ყველა მთავარი დარგი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ პარტიული ორგანიზაციების და მთავრობის ხელმძღვანელობით და დახმარებით, ჩვენი ინსტიტუტი სულ მოკლე ხანში დაიკავებს საპატიო ადგილს ჩვენს კავშირში, რაც კიდევ ერთხელ დაანახვებს ყველას, თუ რამდენად ნაყოფიერია პარტიისა და მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა.

---

*) ამჟამად ამერიკას ჰყავს რამდენიმე გამოჩენილი ადგილობრივი მათემატიკოსი. მაგრამ თითქმის ყველა მათგანმა განათლება ევროპაში მიიღო.

1935—36 სასწავლო წლის ორგანიზაციის შესახებ

1. პირველი სექტემბრისათვის მუშაობის ადგილზე გამოცხადდეს ყველა სკოლის მთელი პედაგოგიური შემადგენლობა.

2. 3—5 სექტემბრის რიცხვებში ქალაქებსა და რაიონებში, განსახკომის ინსტრუქციის საფუძველზე, ჩატარდეს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა სამდღიანი საინსტრუქციო თათბირები.

3. 7—13 სექტემბრის განმავლობაში ყველა სკოლაში ჩატარდეს საშემოდგომო გამოცდები, მთლიანად დასრულდეს კლასების დაკომპლექტება და მასწავლებელთა შორის ფუნქციების განაწილება, შესდგეს და დაზუსტდეს სკოლის სასწავლო-საწარმოო გეგმა, განსახკომის მიერ მოცემული სასწავლო გეგმის საფუძველზე ყველა სკოლაში 10 სექტემბრისათვის შედგენილი და გამოცხადებული იქნას გაკვეთილების ზუსტი ცხრილი (პირველი სემესტრისა).

4. 14 სექტემბერს გამოუკლებლივ ყველა სკოლაში ჩატარდეს მოსწავლეთა მთელი შემადგენლობის შეკრება: ყველა კლასს და ყველა მოსწავლეს მიეჩინოს თავისი ადგილი, მოსწავლეებს გამოეცხადოს შესაძენი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სია და მიეცეს გაკვეთილების ცხრილი.

5. 15 სექტემბერს ყველა სკოლაში, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მთელი შემადგენლობის უკლებლივ დასწრებით, ნორმალური ცხრილის მიხედვით, დაიწყოს სასწავლო მეცადინეობა.

6. გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგნაირად განისაზღვროს: 1, 2, 3, 4—45 წუთით, ხოლო შემდგომი გაკვეთილები—40 წუთით.

დასვენება ყოველი გაკვეთილის შემდეგ 10 წუთი, ხოლო მესამე გაკვეთილის შემდეგ—15 წ.

7. გაკვეთილების დაწყების დროდ ყველა სკოლაში ზუსტად განისაზღვროს: პირველი აპრილიდან პირველ ნოემბრამდე დილის 8 ნახ. საათი, ხოლო პირველ ნოემბრიდან პირველ აპრილამდე დილის 9 საათი.

8. დილით, გაკვეთილების წინ, ყველა სკოლაში ყველა მოსწავლის მონაწილეობით შემოღებულ იქნას 7 წუთიანი ფიზკულტურული ვარჯიშობა საგანგებოდ შედგენილი პროგრამის მიხედვით.

9. დილით შემოღებულ იქნას ზარის ორჯერ მიცემა: ფიზკულტურულ ვარჯიშობზე 10 წ. ადრე გაკვეთილის დაწყებამდე და ფიზკულტურული ვარჯიშობის დასასრულს —ერთი წუთით წინ გაკვეთილის დაწყებამდე.

10. სასწავლო მეოთხედები დასრულდეს:

ა. პირველი მეოთხედი 15 ნოემბერს.
ბ. მეორე მეოთხედი 15 იანვარს.
გ. მესამე მეოთხედი 15 მარტს.
დ. მეოთხე მეოთხედი სასწავლო წლის ბოლოს.

11. 1935—36 სასწავლო წლის განმავლობაში არდადეგები მოეწყოს მხოლოდ ზამთარში ათი დღით —15 იანვრიდან 24 იანვრამდე.

12. სასწავლო წელი დასრულდეს: 1, 2, 3, და 4 კლასებში 10 ივნისს, ხოლო 5, 6, 7, 8, 9 და 10 კლასებში 25 ივნისს.

განათლების სახალხო კომისარი
აკ. თათარაშვილი.

პატარა ფელეტონი

თავზე ქუდი მოიხადეთ!

„ა.-წ. 23 ივნისს აღმოსავლეთ გარინში ლი-ანის მაზრაში იაპონიის სამხედრო შოფერმა თავისი სატვირთო ავტომობილით მოიტანა სამოცი ათასი შაშხნის და ტყვიამფრქვევის ვაზნა გრანატები და ყუმბარები, მთიან ადგილას, სადაც ჩვეულებრივ იმალებიან იაპონიის წინააღმდეგ მომქმედი ჩინელ პარტიზანთა რაზმები. მიუხედავად ხანგრძლივი ძებნისა, მან პარტიზანები ვერ იპოვა. მახლობლად უკვე გაისმოდა იაპონიის შემოტევ რაზმის სროლა. მაშინ იაპონელმა შოფერმა გადასწყვიტა საკუთარი შაშხანითვე მოეკლა თავი“.

(ამხ. ვან-მინის სიტყვიდან კომინტერნის კონგრესზე).

⁂

მთვარე ბუტბუტავს, ნელს შუქს აფრქვევს
ხეობაში ძუნწი მთვარე.
ის შავ ღრუბლებს ხან მოიხსნის
ხან კვლავ პირზე მოიფარებს.
შავ ღრუბლების სქელ ფარაში
ვით ტალღებში ცურავს მთვარე..
ხეობაში ვიწრო გზებზე
ვილაც ავტოს მიაპარებს.
მიაპარებს ვილაც ავტოს
უხსნია თვალად მთვარე.
ნეტავ თავი ვინ გასწირა,
მთვარით ავტოს ვინ ატარებს?
ან და მთვარე, ის მუხთალი,
რათ არიდებს იმ მგზავრს სახეს,
მთვარევ! ღრუბლებს რათ იფარებ
უთვალოთ თუ მგზავრი ნახე?
ძუნწობს მთვარე. იცის მთვარემ
ღრუბლებს სახეს რათ აფარებს.
იცის მთვარემ, ხეობაში
ავტოს ფრთხილად ვინ აპარებს.
და ამიტომ ძუნწობს მთვარე,
და ამიტომ ზანტობს მთვარე,
ხან აიხდის ბადრ სახეს და
ხან კი ღრუბლებს აიფარებს!

II

მძინარე ხეობას შეარყევს გუგუნი
მძინარე ხეობას შეარყევს ხრიალი
ატყდება ბანაკში სარდალის ბუზღუნი;
ავტოა გაჭრილი ის ოხერ-ტიალი.
ავტოა გაჭრილი ნატვირთი ტყვიებით,
ყუმბარით, ვაზნებით სამოცი ათასით.
მომგვარეთ შოფერი ცოცხალი, დაჭრილი,
ან მკვდარი თუ გნებავთ, რა მხვერპლით, რა ფასით!
გაიჭრა შოფერი მანქანით ნატვირთით,
ჯანდაბას ვაზნები, ჯანდაბას ყუმბარა!
სამეფო ჯარებში შეჭრილა ნაზვირთი
წითელი საფრთხე და წითელი მუქარა.
სარდალს იმ ავტომ იმედი მოჰპარა
მიიღე ხეობავ ყუმბარა ფეშქეშათ
სარდალს იმ ავტომ მოსტაცა სიმტკიცე.
სამოცი ათასი აფეთქდა ყუმბარა
ჯარებში რომლებმაც სარდალი იფიცეს.
მძინარე ხეობას შეარყევს ერთბაშად
ზარბაზნის ზუზუნი ტყვიამფრქვევთ ტკაცანი:
და ძალა სარდალს ყუმბარის აცანი!

III

ავტო მიჰქრის, მიჰქრის ავტო
გაზი, გაზი, გაზი, გაზი.
ხვეულებში... უფსკრულებზე...
თითქოს სახეს ვეფხვი აზის.
მიჰქრის, მიჰქრის მთვარის შუქზე,
მიჰქრის, მიჰქრის ხეობაში
ნეტავ ვისკენ ეჩქარება
ვის შეება მძლეობაში!
მთებისაკენ მიჰქრის ავტო,
მთებში ძმები ეგულება
უცხო ერის, უცხო ტომის
ძმებს შეჰფიცა ერთგულება!
პარტიზანებს დედობს ის მთა,
სადაც ბუდეს იქსოვს ქორი
იქ იპოვა გაქცეულმა
თავის სისხლის თანასწორი.
იქით მიჰქრის, მიჰქრის, მიჰქრის
იქით მიაქვს ტყვია, ვაზნა
და იქ მიაქვს გმირის გულიც,
ძმებს რომ მსხვერპლად უთავაზა.

IV

შემოეხვია მთვარეს ღრუბლები.
ღრუბლებმა მთვარე შავით დაფარა
არ მიჰქრის ავტო, გზა დაილია...
დევნილის შუბლი ხევდამ დალარა.
მთაშია ძმები, შორს არის ძმები.
ქვალ და ქვალ მისდევს გაქცეულს ტყვია
წინ კლდე უვალი, ღამე უკუნი...,
დანებდა ავტო ხევს ბნელს და ტყიანს.
თუმცა ბევრია მთაში ბილიკი,
რომ უხიფათოდ მიგიყვანს ძმებთან,
მაგრამ ვაჟკაცი იმას არ ქვია,
ვინც იარაღი დასტოვოს მტერთან.
შოფერმა ავტო ჩადენა ჩიხში.
ამოაფარა იმედით ზღუდეს.
მოვიდეს მტერი და რაც იპოვოს
შინ დაიკვებნოს, როცა დაბრუნდეს.

V

მოდის, მოდის მაჯლაჯუნა
მთალაჯებს ლაწა-ლუწით.
დევნილს ეძებს, დევნილი კი,
აქვე რომ ზის არც კი უწყის.
დევნილს ხელში ფანქარი აქვს
და ენაზე სიტყვა მტკიცე
ბოლშევიკი ფოლადია
ბრძოლის სიტყვას ფუჭს არ მისცემს:
— ტომით უცხო, შრომით ძმანო,
სისხლ ნაღვარო ჩემებრ თქვენაც.
მცირე რამე საჩუქარით
მსურდა თქვენთან გადმორბენა.
ძვირფასებო! ჩემს მთებშიაც
სოფლებში და ქალაქებში
ჯალათები წყურვილს ჰკლავენ
მით რომ სვამენ ჩვენს სისხლს პეშვით.
ძვირფასებო! არ მიწყინოთ,
რომ არ ვიცი თქვენი ენა
მაგრამ ვიცი ნადირებთან
ტყეში ბინათ ვინც გაგდენათ.
ამომავალ მზის ქვეყანას
ეძახიან ჩემს სამშობლოს.
იქ მზე ჩვენთვის არ მნათობობს
და ობოლიც ჯერ კვლავ ობლობს.
მზე ტყვეთ არის, მზის შუქს ახშობს
საზარელი მაჯლაჯუნა.
შევიყვარე: მზის დახსნაზე
ტყვეობიდან ვინაც ზრუნავს.
მოგიტანეთ ეს ვაზნები,
ყუმბარები მოგიტანეთ.
და სიცოცხლეც მას შევსწირე
რაც ჩემსავით თქვენც იწამეთ.
გამარჯვებით! ახლოვდება,
ძაღლთა ხროვა ცოფით, ყეფით.
მე საფლავში გავიხარებ,
ძმებო, თქვენი გამარჯვებით!

VI

ტყვიამფრქვევთა და ზარბაზანთ გრიალში
შაშხანას ნაკვნესი გაისმა ობოლი.
ეს გმირი დაეცა ბრძოლების გრიგალში,
ეს გმირი დაეცა მტარვალთან ნაბრძოლი.

* * *

შორეულ ჩინეთის ვიწრო ხეობაში
უცნობმა შოფერმა სიცოცხლე გასწირა!
წითელი დროშისთვის გაწეულ მძლეობაში
დაეცა და ღრუბლები ცრემლებით ატირა.

VII

ფეხზე ყველა ვისაც გული
კეთილშობილ ძგერით გიძგერს!
თავზე ქუდი მოიხადეთ
საფლავიდან გმირი გიცქერს!
წინ, წინ გაშლით კომინტერნის
დროშა ვისაც დედათ გინდა!
ხედავთ ქვეყნის მეექვსედზე
როგორი მზე ამობრწყინდა?!
უცნობ გმირის ვაჟკაცობა
ნუ გვაოცებს, ნუ გვაკვირვებს
ის იმარჯვებს, ვინაც აღზრდის,
ასეთ შვილებს, ასეთს გმირებს!

ხოზიკა.

მწერლები წარმოებაში

20 აგვისტოს, 4 საათზე, ავტო-სარემონტო ქარხანაში (ღრმაღელე) მოეწყო საბჭოთა მწერლების საქმიანი შეხვედრა ამავე ქარხნის მუშებთან და საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალთან.

შეხვედრაზე იყვნენ მწერლები: **ტიციან ტაბიძე, ბეს. ჟღენტი, ირაკლი აბაშიძე, სიმ. ჩიქოვანი, გ. დარპინიანი, ა. ქუთათელი, ვიქ. გაბესკირია** და რუსი პოეტი **პეტრენკო.**

სანამ შეხვედრა გაიხსნებოდა, ქარხნის დირექტორმა ინჟინერმა ამხ. **ა. ოდილავაძემ** მწერლებს დაათვალიერებინა ქარხნის ყველა საამქრო, მანქანა, ახალი მშენებლობანი და გააცნო ქარხნის მდგომარეობა.

მწერლები გულდასმით ეცნობოდნენ საამქროებს.

შეხვედრა გაიხსნა სრულ 4 საათზე. ქარხნის სუფთად მოწყობილი სასადილო დარბაზი სავსეა მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით და მოსამსახურეებით. შეხვედრა გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ბიორხელიძემ.**

მოხსენება თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ გააკეთა ამხ. ბეს. ჟღენტმა, რომელსაც მუშები ინტერესით უსმენდნენ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მწერლებს მიესალმნენ მუშების სახელით დამკვრელი ოსტატი ამხ. **საგახტარიანი** და საინჟინერო-ტექნიკური სექციის ბიუროს სახელით ინჟ. **ოქუაშვილი,** რომლებიც მოითხოვდნენ მწერლების ახლო კავშირს წარმოებასთან.

საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს: **ტიც. ტაბიძემ, ირაკლი აბაშიძემ, ბიქტორ გაბესკირიამ, პეტრენკომ** (წაიკითხა „ვეფხვის-ტყაოსნიდან“ საკუთარი თარგმანი რუსულ ენაზე). და **გ. დარპინიანმა.**

დასასრულ მწერალთა კავშირის სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა მწერალი **სიმონ ჩიქოვანი.** მან აღნიშნა, რომ მწერლების შეხვედრები მუშებთან შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

მწერალთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სისტემატიური კავშირი დაამყაროს ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან, რისთვისაც ეწყობა: შეხვედრები, მიმაგრება, შეფობა, იქმნება სალიტერატურო წრეები. სალიტერატურო წრეები უნდა გადაიქცნენ მწერალთა კავშირის უჯრედებად წარმოებებში.

დასასრულ ამხ. **სიმ. ჩიქოვანმა** აიღო ვალდებულება, დასწეროს მხატვრული ნარკვევი ავტო-სარემონტო ქარხნის ცხოვრებიდან და გამოიწვია პოეტები **ტიც. ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე** და **ბიქტ. გაბესკირია.**

მწერლების შეხვედრა დასრულდა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვით.

მუშები მეტად კმაყოფილი დარჩნენ.

ეს კარგია. მაგრამ დროა, რომ მწერალთა კავშირი კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებსაც დაუახლოვდეს.

შინსახკომის ჯარების სპარტაკიადა

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — მონაწილეთა აღლუმი. ქალთა რბენის სტარტი. ტიმოფეევა, რომელმაც საუკეთესო შედეგი გვიჩვენა ბურთის სროლაში.

24 აგვისტოს, დღის 4 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიხსნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სპარტაკიადა.

სპარტაკიადა მონაწილეთა აღლუმით დაიწყო. ტრიბუნაზე არიან ამიერ-კავკასიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **გოგლიძე,** კომკავშირის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **გიორგობიანი,** საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მილშტეინი** და მთელი რიგი სხვა მუშაკები.

აღლუმის შემდეგ დაიწყო რბენა 100 მეტრზე ქალებისა და ვაჟებისათვის, ბურთის სროლა და მძლეოსნობის სხვა სახეები.

ქალებიდან კარგი შედეგები გვაჩვენეს **ვლასოვამ და ტიმოფეევამ,** ვაჟებიდან კი — **შტემპელმა და ბობროვმა.**

სპარტაკიადის პროგრამაში შედის როგორც მძლეოსნობა, ისე ძალოსნობის ყველა სახე (ჭრივი, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა), აგრეთვე შეჯიბრება ცურვაში და ველოსპორტში.

სპარტაკიადა ოთხ დღეს გასტანს.

ტექნიკური დახმარების კაბინეტი ტფილისში

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულმა გამომგონებლობის კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს ტფილისში სამეცნიერო - ტექნიკური ინფორმაციისა, კონსულტაციისა და ტექნიკური დახმარების საცდელ-საჩვენებელი კაბინეტი, სადაც შესაძლებელი იქნება ერთდროულად 25 კაცის მიღება.

კაბინეტის დანიშნულებაა: სამეცნიერო - ტექნიკური კონსულტაცია ტექნიკის სხვადასხვა საკითხებზე, ტექნიკის ახალ მიღწევების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვება, ტექნიკური დახმარების გაწევა გამომგონებლებისათვის ნახაზებისა, განმარტებითი ბარათებისა და განცხადებების შედგენაში.

კაბინეტთან მოეწყობა ტექნიკური ლიტერატურის დიდი ბიბლიოთეკა.

კაბინეტის მოსაწყობად მუშაობა უკვე დაწყებულია.

შეჯიბრება ცურვაში

24 აგვისტოს ტფილისის ფიზკულტურის საბჭოს წყლის აუზში დაიწყო ბავშვებისა და მოზარდთა საქალაქო შეჯიბრებები. ასეთი შეჯიბრება პირველია ამიერ-კავკასიაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა **მიიღო 74** კაცმა. ყველა მონაწილეს **დამთავრებული** აქვს ცურვის საბავშვო სკოლა. თვენახევრის განმავლობაში მათ კარგათ შეითვისეს ცურვის ყველა ხერხი და მთელი რიგი მიღწევები გვიჩვენეს.

11 წლის **იგორ სკურატოვმა** 25 მეტრზე ცურვაში „კროლის“ სტილით დაამყარა ამიერ-კავკასიის რეკორდი და ეს დისტანცია 20,5 წამში გასცურა.

50 მეტრზე „ბრასის“ სტილით ცურვის ამიერ-კავკასიის რეკორდი დაამყარა მე-8 საშუალო სკოლის მოწაფემ 14 წლის **შოთა ვაჩნაძემ.**

არქიტექტურული ტექნიკუმის მოწაფემ **არშაკუნიმ** საუცხოვოდ გაიარა 50 მეტრი „ბრასის“ სტილით 41,8 წამში. ეს შედეგი უახლოვდება მეორე **საკავშირო** კატეგორიის მოზრდილ მცურავთა შედეგს.

შეჯიბრებაში **პიშნოვმა, კირპიჩევმა, ქადეიშვილმა, გეგელიამ, მონტიანმა** და სხვებმა დაამყარეს ამიერ-კავკასიის 20-ზე მეტი რეკორდი.

კოშკიდან საჩვენებელ ხტომაში პირველობა მოიპოვა **ესიპოვსკამ,** მეორე ადგილზე გამოვიდა **გეგელია.** ისინი ზუსტად ასრულებდნენ 5—მეტრიან კოშკიდან ხტომის ყველა რთულ ფიგურას.

წყლის ესტაფეტაში კარგი შედეგები გვიჩვენეს: **ბუცუშვილმა, ფრუიდმანმა, ეფიმენკომ და სკურატოვმა,** რომლებმაც დისტანცია 1,44 წუთში გასცურეს.

ფიზკულტურის ტფილისის საბჭომ მოზარდთა ცურვის სკოლის გახსნით კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა. მოზარდთა შორის უკვე ახლავე სჩანან კადრები, რომელთაც ყველა საბუთი აქვთ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიონ მოზრდილებთან შეჯიბრებაში.

კერძოდ უნდა აღინიშნოს 16 წლის **პიშნოვი,** რომელმაც 400 მეტრი „ბრასის“ სტილით გასცურა 7 წუთსა და 16,8 წამში, მაშინ, როდესაც მცურავი კირილოვის ამიერ-კავკასიის რეკორდი 7 წუთს და 7 წამს უდრის.

24 აგვისტოს გამართული შეჯიბრების მონაწილენი: გოპი, რაზუმოვსკი და სკურატოვი.

გელათში აღმოაჩინეს ახალი აკლდამა

ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა **ი. კობახიძემ** და მუზეუმის მეცნიერულმა მუშაკმა **მ. გოგსაძემ** გელათის მონასტრის გალავნის ახლოს, დავით აღმაშენებლის სამარიდან 40 მეტრის დაშორებით, აღმოაჩინეს დღემდე უცნობი აკლდამა.

აკლდამის სიმაღლე 2 მეტრს უდრის, სიგანე 3 მეტრი და 68 სანტ., ხოლო სიგრძე 6 მეტრია.

აკლდამას ირგვლივ გაკეთებული აქვს ქვის ჩამოსაჯდომები, რომელზედაც თავისუფლად დაეტევა 40 კაცი.

საჭიროა აკლდამის მეცნიერული შესწავლა და არქეოლოგიური გათხრების წარმოება.

ტფილისის მუზეუმმა ქუთაისში მიავლინა მხატვრები **ქ. მაღალაშვილი** და **შ. აბრამაშვილი,** რომელთაც დავალებული აქვთ გელათის მთავარი ეკლესიის მოზაიკის გადახატვა. მხატვრები მუშაობას უკვე შეუდგნენ.

სუბტროპიკული პარკი მახინჯაურში

აჭარისტანის საკურორტო სამართველომ შეუდგა სუბტროპიკული პარკის გაშენებას მახინჯაურში. პარკისათვის გამოყოფილია 6,5 ჰექტარი.

პარკის შესავალთან მოეწყობა მხატვრული კოლონადა და ვესტიბიული. პარკის ტერიტორიაზე დარგავენ ლამაზ და იშვიათ სუბტროპიკულ მცენარეებს, გაყვანილი იქნება ტერასები მარაოსმაგვარი კიბეებით, ეწყობა დასასვენებელი კუთხეები, რომლებიც გაფორმებული იქნება ჩინური და იაპონური სტილით.

პარკის მოწყობა მიმდინარეობს გამოცდილი არქიტექტორების ხელმძღვანელობით.

ხმოვანი კინო სვანეთში

მესტია, 23 აგვისტო. 22 აგვისტოს მესტიაში გაიხსნა ხმოვანი კინოთეატრი. ნაჩვენები იქნა კინოსურათი „ჩაპაევი“, რომელმაც მშრომელ მოსახლეობაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

„ახალწვეულთა დღე“ მუშათა კლუბებში

24 აგვისტო ახალწვეულთა დღედ იყო გამოცხადებული. ამ დღეს დილიდანვე ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების ეზოებში გაცხოველებული მოძრაობა იყო. მოვიდნენ მუშები, პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რათა დასწრებოდნენ ახალწვეულების თავის შეყრას და შეჯიბრებისათვის მინდვრად გასვლას.

ზოგიერთი ქარხნიდან ახალწვეულთა ჯგუფები გავიდნენ ქალაქგარედ, რომ შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ დასვენებით და კულტურულად გართობილიყვნენ.

საღამოს ახალწვეულებთან შეხვედრის საღამოები გაიმართა წითელი არმიის სახაზინო ბაღში, თელმანის პარკში და ვოროშილოვის სახ. მუშათა კლუბში. არ შესდგა დიდი საღამო, რომელიც უნდა მოწყობილიყო კულტურისა და დასვენების პარკში.

მუშათა კლუბები ამ დღეს სპეციალურად შერჩეული პროგრამით გაუმასპინძლდნენ ახალწვეულებს. ამ საღამოებზე ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო ტფილისის მშრომელებს ჩააბარეს ანგარიში ახალი გაწვევისთვის ჩატარებული მუშაობის შესახებ. საღამოებზე პატაკებით გამოვიდნენ ახალწვეულთა წარმომადგენლები. მათ სიტყვა მისცეს ტფილისის მშრომელებს, რომ წითელი არმიის რიგებიდან შვებულებაში მიმავალთა ღირსეულ შემცვლელებათ იქნებიან და არ დაზოგავენ ენერგიას წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკის ასათვისებლად.

ახალწვეულთა დღის აღსანიშნავად მუშათა კლუბებმა გახსნეს ცნობათა მაგიდები გაწვევის საკითხებზე მოქალაქეთათვის ახსნა-განმარტებების მისაცემად.

მდ. წყალტუბო იცვლის კალაპოტს

მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში კურორტ წყალტუბოს კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 3 მილიონ მანეთზე მეტი.

მდ. წყალტუბოს გასწვრივ, მარცხენა და მარჯვენა მხარეზე არხის გაყვანა ძირითადად დამთავრებულია. პირველ სექტემბრიდან მდ. წყალტუბო, რომელიც წვიმიან ამინდში წყლით ავსებდა აბაზანების შენობას, შეიცვლის კალაპოტს. მდინარეს გადაისვრიან ბეტონის ორ არხში.

სექტემბრის ბოლოს წყალტუბოში მზად იქნება ახალი წყალსადენი.

პირველად წყალტუბოს ისტორიაში შენდება კანალიზაცია. სექტემბერში ამუშავდება საკანალიზაციო მაგისტრალი, რომელიც მომსახურებას გაუწევს კურორტის ცენტრალურ ნაწილს.

კურორტზე გაყვანილია ახალი გზა, რომელიც აკავშირებს სადგურს ქალაქის ცენტრთან და ყველა სანატორიუმთან. ახლო ხანში დაიწყება მისი გუდრონირება.

წყალტუბოს კეთილმოწყობაზე წელს დაიხარჯება 8 მილიონი მანეთი.

კარნავალი—მასკარადი

29 აგვისტოს საქართველოს ფილარმონია თავის ცენტრალურ მოედანზე (პლეხანოვის პრ. 125) მართავს კოსტუმებიან კარნავალ-მასკარადს.

საღამოს პროგრამაშია — ცეკვა, ჯაზი და სხვა. კარნავალის მონაწილენი ნიღბებით და სამასკარადო კოსტუმებით უნდა იყონ (ნიღაბი გაიცემა უფასოდ ბილეთის ყიდვასას).

კარნავალის ხელმძღვანელია მუსიკ-ჰოლის კონფერანსიე **მ. გარკავი.**

ხელოვნება

მეჩონგურეთა ანსამბლის გასტროლები ბაქოში

საქ. განათლების კომისარიატთან არსებულმა მეჩონგურეთა ანსამბლმა ა. **მეგრელიძის** ხელმძღვანელობით ივლისში მთელი რიგი გასტროლები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

დიდი წარმატებით ჩაიარა კონცერტებმა თელავში, გურჯაანში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში, წაღვერში, ჭიათურაში, არგვეთაში, შორაპანში და ზესტაფონში.

7 აგვისტოს ანსამბლი ბაქოში მიიწვიეს. აქ ანსამბლმა გამართა 7 კონცერტი, რომლებმაც დიდი მხატვრული წარმატებით ჩაიარა. სხვათა შორის, კონცერტებს დაესწრნენ ცნობილი ევროპელი მუსიკოსები **ეფრემ ციმბალისტი** (ვიოლინოს დამკვრელი) და კომპოზიტორი **ს. პროკოფიევი,** რომლებიც გაკვირვებული დარჩნენ ქართული ხალხური სიმღერის სიმდიდრით და ანსამბლის შესრულების მაღალი ხარისხით.

ბაქოს საბჭოსთან არსებულმა სიმფონიური კონცერტების სამმართველომ მადლობა გადაუხადა ანსამბლს ჩატარებული მუშაობისათვის და კვლავ მიიწვია ის კონცერტების გასამართავად 1936 წელს.

ჭიათურის მუშათა თეატრი

16 აგვისტოდან ჭიათურის მუშათა თეატრი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა მომავალი სეზონის სამზადისს.

ამჟამად თეატრი ამზადებს **ი. ვაკელის** პიესას „შამილს“, ამ პიესამ პრემია მიიღო დრამატიულ ნაწარმოებთა რესპუბლიკურ კონკურსზე. პიესას სდგამს თეატრის მთავარი ხელმძღვანელი რეჟ. დამს. არტისტი **ვ. ფრანგიშვილი.**

ამას გარდა მომავალ სეზონში განზრახულია დაიდგას ს. მთვარაძის—„არსენა მარაბდელი“, გ. დარისპანაშვილის „არინა“, ვ. ბაზოვის „განურჩევლად პიროვნებისა“, კორნეიჩუკის—„პლატონ კრეჩეტ“, ჯანანის—„შაჰნამე“. კლასიკური პიესებიდან რეპერტუარში შეტანილია შილერის „ყაჩაღები“ რეჟ. სახალხო არტისტ **ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით. განახლდება „ოტელო“, „ლამარა“, „ქრისტინე“, „ხიდ ქვეშ“ და „ნაბიჭვარი“.

1936 წლის შუა რიცხვებში თეატრი იდღესასწაულებს თავისი არსებობის 10 წლის თავს.

სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის შუა რიცხვებში.

გასული სეზონის ნაყოფიერად ჩატარებისათვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ თეატრის მუშაკები დააჯილდოვა ფულადი საჩუქრებით და საგზურებით დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში. თეატრის ხელმძღვანელი ვ. ფრანგიშვილი დააჯილდოვეს ერთი თვის ხელფასით და საცხოვრებელი ბინით.

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ამხ. ჩემოდანოვის ბროშურა: „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“.

შემთხვევები

⌗ **დაჭრა.** რევოლვერის წმენდის დროს მოქ. გ. ი. კოგიშერიძემ შემთხვევით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი მამინაცვალი ი. გ. მაგანია. დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს. გამოძიება სწარმოებს.

გამფლანგველის დაპატიმრება. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორის თანამშრომელი ქალი გ. გ. მანაკოვა, რომელსაც სახელმწიფო თანხების მითვისება ბრალდება. სულ მანაკოვამ მიითვისა 8000 მანეთი. ის გამოტყდა დანაშაულში. საქმე პროკურატურას გადაეცა.

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ ა. წ. 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საზაფხულო კლუბში (შესავალი ბესიკის ქუჩიდან № 4) პროფესორი ა. ერქომაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სტალინის ბრძოლა მენშევიზმთან ამიერ-კავკასიასა და საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“.

მოხსენებაზე მოწვეულნი არიან პროპაგანდისტები, პარტიული და კომკავშირული აქტივი.

ოქტომბერი 5-30, 7-15, 9-40, 11
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-45, 8-15, 9-40, 11
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი) 8-15, 9-45, 11-15
რ. ლიუქსემბურგის სახ. 5-30, 7-15, 9, 11
[illegible] (საზაფხ.) 9, 10-30
„26“-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 9, 10-15

ხმოვანი ფილმი პეპო
დადგმის მეორე კვირა.
მხატვრული ფილმი ზღვის ტყვეები
დადგმის მეორე კვირა
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
პეპო სცენარი და დადგმა დამსახურებულ ოსტატის ა. ბეკ-ნაზაროვისა.
მხატვრული სურათი ზღვის ძირი
საზამთ.—ხმოვ. ა-კ. ხალხთა ხელოვნ. ოლიმპიადა
საზაფხ.—ცოცხალი ღმერთი.
მხატ. ფილმი ფირმის საიდუმლოება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომი
კატეგორიულ წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ პარტწევრ კანდიდატებს 5 სექტემბრამდე გამოცხადდნენ პარტკომში.

შელიძე ალექსანდრე, კუჭავა ეკატერინე, ცინცაძე შალვა, ცხოიძე იოსებ, ჯაფარიძე ტასია, ხელაშვილი შალვა, ელიზბაროვი გიორგი, ნუცუბიძე ნიკოლოზ, ჰეიშვილი ალექსანდრე, მამასაშვილი პეტრე, ქართველიშვილი გიგო, არუტინოვა მარია, დარბაისძე გენადი, კომახიძე ვლადიმერ, ქილიფთარი აპოლონ, შელეგია ივანე, კარანაშვილი იოსებ, ჩოდრიშვილი იოსებ, ჯაში მუშანა, ხელაძე გრიგოლ, შეყრილაძე ვარლამი, კუპრაშვილი ვალიკო, ჯერენაშვილი ნიკოლოზ, ზაქარიაშვილი ეპადიონ, ბაბილოძე კასიანე, მახარაშვილი დიმიტრი, სამუშია ბესარიონ, ბაძალუა გრიგოლი, კელენჯერიძე გრიგოლ, რუსუა თამარა, თოდუველიძე გერონტი, კალაძე გერასიმე, ქაჯაია ნინა, ჯანჯღავა დავით, შარაშენიძე ბენია, ერისთავი თინა, დამენია ნინა, კალანდია სერაპიონ, დოლიძე ვარლამ, ტატიშვილი გრიგოლ, მელიქოვი გაბო, ყარაულაშვილი, ბარამია ლიდა, ვარდოსანიძე თამარა, ხირსელი ივანე, არუთინოვი არტამ.

ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტი
აცხადებს იმ სტუდენტთა საყურადღებოდ, რომლებმაც დაამთავრეს ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის 4 კურსი და დანიშნულ ვადაზე არ დაუცავთ სადიპლომო შრომები, ვალდებული არიან პედინსტიტუტის დამთავრების დიპლომის მისაღებად დაიცვან სადიპლომო შრომები 1936 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამ ვადის შემდეგ სადიპლომო შრომები გაუქმებულია და ისინი ვალდებული არიან ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდები.

9259 ქუთ. სახ. პედინსტიტუტის დირექტორი ალ. პაპავა.

ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი
(რუსული სექტორი)
განცხადებები მიიღება 31 აგვისტომდე.
განყოფილებები: ფიზ.-მათემატიკური, ისტორიული, ბიოლოგიური.
მისაღები გამოცდები 5 სექტემბერს.
9268 ინსტიტუტის დირექტორი ბერიძე.

კიროვის სახელობის ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალური ინსტიტუტის პარტკომი
წინადადებას აძლევს
კიროვის სახელობის ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალური ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში შემავალ პარტწევრ კანდიდატს (არდადეგებზე და საწარმოო პრაქტიკაზე მყოფთა ჩათვლით) გამოცხადდნენ ინსტიტუტის პარტკომში ა-წ. 1 სექტემბერს დილით 9 საათ.
2—2 ნ. 282 კიროვის სახელ. ა-კ. ინდ. ინსტიტუტის პარტკომი.

კიროვის სახელობის ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალური ინსტიტუტი
აცხადებს სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებელთა შემადგენლობის საყურადღებოდ, რომ აკადემიური ჯგუფების მეცადინეობა დაიწყება შემდეგ ვადებში.
პირველი სექტემბერი: ახლად მიღებულთა ყველა ჯგუფი, აგრეთვე ჯგუფები №№ 3, 4, 5, 6, 89, 1, 2, 8, 57, 58, 59, 60, 61, 91, 92, 136, 137, 138, 139, 9, 10, 11, 12, 33, 35, 36, 37, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 30, 31, 32.
25 სექტემბერი: ჯგუფები №№ 71, 72, 73, 74, 38, 39, 40, 41.
პირველი ოქტომბერი: ჯგუფები №№ 75, 76, 77, 77-ა, 78, 79, 80, 84 85, 86, 87, 88-ა, 88-ბ, 51, 52, 53, 54, 55, 56, 90, 111, 112, 113, 114, 115, 140 141, 142, 143, 144, 117.
პირველი ნოემბერი: ჯგუფები №№ 93, 94, 95, 13, 14, 15, 16.
პირველი დეკემბერი: ჯგუფები №№ 82, 83.
სტუდენტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მეცადინეობაზე სათანადო ვადებში, მექანიკურად გარიცხული იქნებიან ინსტიტუტიდან.
ნ. 283 ა-კ. ინდუსტრ. ინსტიტუტის დირექტორი—პროფ. ვაშაყმაძე.

ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტი
აცხადებს
პედინსტიტუტთან არსებული მოსამზადებელი კურსებისა და ხონის მუშფაკის დამთავრებულთა საყურადღებოდ, რომ ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოცდები გაუქმებულია და ინსტიტუტში შესასვლელი გამოცდები მათ უნდა ჩააბარონ საერთო წესით ინსტიტუტში.
გამოცდები დაიწყება 1-ლ სექტემბერს.
9258 ქუთ. სახ. პედინსტიტუტის დირექტორი ალ. პაპავა

ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში
(ქართულ-რუსულ სექტ.) გრძელდება განცხადებების მიღება 31 აგვისტომდე.
განყოფილებები: ფიზ-მათემატიკური, ისტორიული, საბუნებისმეტყველო ენისა და ლიტერატურის.
მიღების პირობები ისეთივე, როგორც საერთოდ უმაღლეს პედსასწავლებლებისათვის. გამოცდები დაიწყება 5 სექტემბერს.
ცნობების მიღება, კამოს ქ. № 52.
9267 ინსტიტუტის დირექტორი: კ. ბერიძე

მელქისედეკი, როზიტა და ვალერიან მემარიშვილები იუწყებიან ძვირფასი ბიძის
(ემმანუილი) ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ლასკარის
გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 6 ს. გამოსვენება კალინინის ქ. № 22.

დამწუხრებული მეუღლე ჯადუნა შვილით ნელით და დით ვერა, შვილებით: შალვა და კუკური ლომინაძეები იუწყებიან
სიმონ პოლიექტეს-ძე ცხადაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ჯუღელში 27 აგვისტოს.
6926

მახარაძის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე, რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი
სარდიონ ბათლომეს-ძე ჯიბუტი
9255

სახელმწიფო ღვინო-სპირტის ინსპექციის თანამშრომლები: კურდღელაშვილი, გაბიჩვაძე, ჯაველიძე, სანოვი, ბიბილური, ავალიანი, ასატუროვი და სარჯველაძე გამოსთქვამენ მწუხარებას ინსპექციის უფროსის გრიგოლ ლასკარის მამის
ემმანუილის
გარდაცვალების გამო. 9260

გაუბედურებული მშობლები: მიხეილი და მელანია, დები: ქეთო და თინა, ძმა თეიმურაზი ღრმა მწუხარებით დაჰსტირიან ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე
შოთა მიხეილის-ძე მეტრეველის
მოულოდნელად გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. თელავში 27 აგვისტოს.
9261

დამწუხრებული დედა მარიამი, დედა შვილები: ნიკო, ანნა და ნინო ლომიძეები მწარედ დასტირიან ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე
შოთა მიხეილის-ძე მეტრეველის
მოულოდნელად გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. თელავში 27 აგვისტოს.
9261

საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი და რაიაღმასკომი იუწყებიან
სარდიონ ჯიბუტის
გარდაცვალებას. უფ.

მ. კილაძე, ბ. ადამაძე, კ. გოგუაძე, მ. შათაქიძე, მ. [illegible]შია, ბ. რუსიძე, მ. სიმეულიდი, კ. [illegible], მ. ქილიფთარი, ა. მალაზონია, პ. მახარაძე, თ. აბაშმაძე, ტ. კობალაძე, ა. მგელაძე, თ. კვაჭაძე, გ. ერქომაიშვილი, ი. გოგოძე, ე. გობრონიძე, ვ. ქინქლაძე, მ. მკურნალი, მ. ჰეიშვილი, ა. კირცხალია იუწყებიან
სარდიონ ჯიბუტის
გარდაცვალებას. 9255

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—85, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8020.